



ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა  
ნაშრომი თემაზე:

## **„უდანაშაულობის პრეზუმუცია და მისი განხორციელების გარანტიები“**

ავტორი: ტასო მირზაშვილი  
ხელმძღვანელი: ნინო გოგნიაშვილი  
ასისტენტ-პროფესორი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

# თბილისი

2019

## შინაარსი

შესავალი.....	3
თავი I. უდანაშაულობის პრეზუმფცია - დაცვის ფუნდამენტური უფლება.....	5
1.1 უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი და მიზნები .....	5
1.2 გარანტიის წარმოშობა .....	6
1.2.1 გარანტიის ზოგადი მახასიათებლები და ძირითადი განსაზღვრება.....	7
1.2.2 უდანაშაულობის პრეზუმფციის სუბიექტები.....	11
1.3 შიდა საკანონმდებლო რეგულაციები .....	12
1.3.1 საქართველოს კონსტიტუცია.....	12
1.3.2 სხვა საკანონმდებლო აქტები .....	13
1.3.3 საერთაშორისო კანონმდებლობა .....	14
თავი II. უდანაშაულობის პრეზუმფციის სამართლებრივი ასპექტები.....	16
2.1 მტკიცების ტვირთი.....	17
2.2 სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილებები.....	18
2.3 საჯარო მოხელეების ვალდებულება .....	20
2.4 გარანტიის შედეგზე ორიენტირებული ასპექტები.....	22
2.5 რეპუტაციასთან დაკავშირებული ასპექტები .....	24
2.6 უდანაშაულობის პრეზუმფცია და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება .....	24
თავი III. უდანაშაულობის პრეზუმფცია და ჟურნალისტური ეთიკა.....	28
3.1 ჟურნალისტური ეთიკა.....	28
3.2 თვითრეგულირების რისკები.....	30
3.3 სახელმწიფოს როლი .....	33
3.4 დანაშაული და მედია.....	35
3.5 მედიის მიერ ბრალდებულის დამნაშავედ ქცევის საფრთხე .....	37
3.6 მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი .....	41
თავი IV. უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეფორმა და საერთაშორისო მიდგომები .....	43
4.1 რეფორმა საკანონმდებლო მიმართულებით.....	44

4.2 საერთაშორისო მიდგომები.....	45
დასკვნა.....	48
ბიბლიოგრაფია.....	52

## შესავალი

უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპს წარმოადგენს, რომელიც სამართალწარმოების პროცესში მოქმედებს მანამ, სანამ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ. უდანაშაულობის პრეზუმფცია მხოლოდ ზოგადი პრინციპი არ არის, იგი სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტია.

საერთაშორისო და შიდა საკანონმდებლო ნორმებით უდანაშაულობის პრეზუმფცია აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი უფლება და დაცვის გარანტი პირისთვის, რომელსაც ბრალს სახელმწიფო სდებს. მიუხედავად იმისა, რამდენად ძლიერია მტკიცებულებათა ერთობლიობა, ან რამდენად მაღალ სტანდარტს აკმაყოფილებენ ისინი არავის აქვს უფლება დაარღვიოს პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია, უფლება, რომელიც ბრალდებულს აძლევს საშუალებას არ გახდეს საზოგადოებისგან იზოლირებული. უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ვალდებულება ეკისრება არა მხოლოდ ბრალდების მხარეს, არამედ პროცესში მონაწილე სხვა სუბიექტებსაც მათ შორის მედიასაც.

აღნიშნული თემის აქტუალობა გამომდინარეობს მისი შინაარსის გააზრებისას წამოჭრილი პრობლემების გამოკვეთის, გამოკვლევისა და გადაჭრის გზების ძიების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილული იქნება პრობლემური საკითხები კერძოდ: უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედების ფარგლები, უნდა წყვეტდეს თუ არა ის მოქმედებას პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებისთანავე და ხომ არ უნდა მიჰყვებოდეს ის პირს აპელაციასა და კასაციაში.

ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა მედიის მიერ თავისი ქმედებებით ბრალდებულის დამნაშავედ გადაქცევა. შესაძლოა თუ არა ის გამართლდეს საჯარო ინტერესით და სად გადის ზღვარი უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვასა და პროფესიული საქმიანობის შესრულებას შორის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი იმასთან დაკავშირებით ბრალდებულის გისოსებში ყოფნის დროს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ნათესი მსაჯულები განიხილავენ საქმეს, რამდენად მიზანშეწონილია სასამართლო პროცესზე

ბრალდებულის გისოსებიან ადგილას მოთავსება და ხომ არ არღვევს ეს უდანაშაულობის პრეზუმფციას.

ასე რომ, აღნიშნული საკითხის მოცემულ ჭრილში განხილვა და გადაჭრის გზების ძიება უარესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია დღევანდელ საკანონმდებლო რეალობასა და პრაქტიკაში.

21-ე საუკუნეში, როდესაც მედიის თავისუფლება დაცულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ასევე საქართველოს კონსტიტუციით და მედიასაშუალებები ყოველგვარი კონტროლის გარეშე აშუქებენ ნებისმიერი სახის ინფორმაციას, არის შემთხვევები, როდესაც სისხლისსამართლებრივი საკითხების გაშუქებისას მედია ხშირად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და ბრალდებულს ხშირად დამნაშავეს უწოდებს, რაც თავის მხრივ პირის უფლებების შელახვას განაპირობებს.

საკვლევი საკითხთან მიმართებაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები და თავს იჩენს კითხვა: შესაძლებელია თუ არა მედიამ დაარღვიოს უდანაშაულობის პრეზუმფცია? წარმოდგენილ ნაშრომში განხილული იქნება ის მოსაზრებები, რომლის თანახმადაც მედია საშუალებების მიერ შესაძლოა დარღვეულ იქნას უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება.

ნაშრომი მოიცავს 52 გვერდს და შედგება შესავალ ნაწილი, ოთხი თავისა და დასკვნისგან. თავები დაყოფილია ქვეთავებად. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ბიბლიოგრაფია. ნაშრომის ძირითადი საკვლევი ნაწილი ეხება დანაშაულის გაშუქების პრობლემებს.

პირველი თავი ეხება უდანაშაულობის პრეზუმფციას, როგორც დაცვის ფუნდამენტურ უფლებას. შესაბამისად, განხილულია უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება და მიზნები სამართლის სისტემაში; აგრეთვე, ის სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც როგორც შიდა ასევე საერთაშორისო სამართალში განამტკიცებს ბრალდებულის უდანაშაულობისა და თავისუფლების უფლებას;

მეორე თავში წარმოდგენილია უდანაშაულობის პრეზუმფციის სამართლებრივი ასპექტები, განხილულია თითოეული მათგანი;

მესამე თავში გაანალიზებულია უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ჟურნალისტიკური ეთიკის ანგარიშვალდებულების სისტემა. ყურადღებაა გამახვილებულია მასმედიის სამართლებრივ რეგულაციებზე, სახელმწიფოს ვალდებულებებზე უზრუნველყოს არა მხოლოდ მედიის თავისუფლების უფლების დაცვა, არამედ მათი მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის თავიდან აცილებაც;

მეოთხე თავი მოიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეფორმას და საერთაშორისო მიდგომებს. ასევე წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები სხვადასხვა პრობლემურ საკითხთან მიმართებით.

## თავი I. უდანაშაულობის პრეზუმფცია - დაცვის ფუნდამენტური უფლება

### 1.1 უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი და მიზნები

„ადამიანის უფლებები თავისი არსით მიეკუთვნება მორალურ კატეგორიათა რიგს, რომლებიც უნივერსალური ხასიათისაა და განუყოფელია სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ადამიანისგან. ამასთან, ადამიანის ძირითადი უფლებები არსებითად განსხვავდება სხვა მორალური უფლებებისგან. ესა თუ ის მორალური უფლება ადამიანმა შეიძლება მოიპოვოს საზოგადოებაში მისი როლისა და ადგილის მიხედვით, ხოლო ძირითადი უფლებები მას ეკუთვნის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი დაიბადა როგორც ადამიანი.“<sup>1</sup>

ტერმინი „პრეზუმფცია“ ნიშნავს რაღაცას, როგორც ნამდვილს. სამართლებრივ კონტექსტში, ფრაზა „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ ნიშნავს, რომ ჩვენ ბრალდებულის უდანაშაულოდ მივიჩნევთ მანამ სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება ან სხვაგვარად რომ ვთქვათ ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრალდებული უდანაშაულოა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში, ბრალდებულს არ აქვს ვალდებულება დამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. აქედან გამომდინარე, პროკურატურას ეკისრება ვალდებულება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასაბუთებული პირის ბრალეულობა.

სისხლის სამართალწარმოების პროცესში უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი განსაკუთრებულ მიზანს, სახელმწიფოს მხრიდან ბრალდებული უფლებების დარღვევის აღკვეთას ემსახურება. უდანაშაულობის პრეზუმფცია სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას ბრალდებულის სტატუსი და არ მოხდეს მისი დამნაშავედ გამოცხადება დანაშაულის დამტკიცებამდე.

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, რედ. ლორია ვ. ბათუმი, 1999. გვ. 79

მოცემულ თავში განხილული იქნება რა დაცვის რა გარანტიებს ქმნის სისხლის სამართლის პროცესში განსახილველი უფლება და რა მასშტაბებით ვრცელდება უდანაშაულობის პრეზუმფცია ბრალდებულზე. როდის იწყება და სად წყვეტს მოქმედებას. მოიცავს თუ არა იგი ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც და საკმარისია თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციის მხოლოდ ვერბალურად დაცვა.

სამართლებრივი დაცვის საშუალებების მხოლოდ თეორიული ხელმისაწვდომობა საკმარისი არ არის, მათი პრაქტიკული გამოყენებაც აუცილებელია.<sup>2</sup> საქმეში კასტრავეტი მოლდოვის წინააღმდეგ, განსასჯელი წინასწარი მოთავსების იზოლატორში შუშით იყო დაშორებული ადვოკატისგან, როდესაც მისგან კონსულტაციას იღებდა საქმის განხილვასა და მის ბრალეულობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დაშორება ხელს უშლიდა ეფექტურ კომუნიკაციას და ეფექტური დაცვის განხორციელებას, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევად მიიჩნია.<sup>3</sup> ფსიქოლოგიური დაცვის აუცილებლობა ჩანს გადაწყვეტილებაში რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ. აქ მომჩივნები სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მოთავსებულები იყვნენ რკინის გალიებში, ნიღბიანი მცველებით გარშემორტყმულნი, რომლებიც განსასჯელსა და დამცველ შორის კომუნიკაციას ართულებდა, აგრეთვე მათ უჭირდათ პროკურორისა და მოსამართლის მოსმენა რაც დარღვევად ჩაითვალა, რადგანაც ისინი განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას. სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო მოსმენები, რომლებიც საქვეყნოდ გადაიცემოდა, არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას, არ მიმდინარეობდა საკმარისად დამოუკიდებლად და, შესაბამისად, აკლდა საქმის სამართლიანი განხილვისთვის აუცილებელი ძირითადი, ფუნდამენტური პირობები.<sup>4</sup>

## 1.2 გარანტიის წარმოშობა

უდანაშაულობის პრეზუმფცია უძველესი პრინციპიადა მას დიდი ისტორია აქვს. ის ჯერ კიდევ 1789 წლის 28 აგვისტოს ადამიანის და მოქალაქეთა დეკლარაციის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა მისი ტექსტი სხვადასხვაგვარადაა ჩამოყალიბებული, ასე მაგალითად: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ სამოქალაქო პაქტი საუბრობს რომ პირს უფლება აქვს ჩაითვალოს უდანაშაულოდ მისი ბრალეულობის დამტკიცებამდე, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ამბობს რომ პირი ითვლება უდანაშაულოდ ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. დღეს კანონის ტექსტი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ

<sup>2</sup> RMD v. Switzerland ECtHR, 26/09/1997

<sup>3</sup> Castravet v. Moldova ECtHR 13/03/2007

<sup>4</sup> Ramishvili and Kokhreidze v. Georgia. ECtHR 27/01/2009



დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.“

<sup>5</sup> აღნიშნული უმნიშვნელო ცვლილებების მიუხედავად ძირითადი სინაარსი მაინც უცვლელი რჩება, მნიშვნელობას არ კარგავს და წლებს უძლებს.

### 1.2.1 გარანტიის ზოგადი მახასიათებლები და ძირითადი განსაზღვრება

უდანაშაულობის პრეზუმფცია ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი პრინციპია, რომელმაც ხელი შეუწყო სისხლის სამართლის პროცესში დემოკრატიული საწყისების განვითარებას. იგი განმტკიცებულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ ასევე შიდასახელმწიფოებრივ აქტებშიც.

დანაშაულის დამტკიცების მიზნით, ბრალდების მხარეს აკისრია მტკიცების ტვირთი. მტკიცების ტვირთი სისხლის სამართლის პროცესში კრიტერიუმს მოიცავს: პირველი, უნდა დამტკიცდეს, რომ ფაქტობრივად ჩადენილია დანაშაული და მეორე, რომ ბრალდებული იყო სწორედ ის პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული. უდანაშაულობის პრეზუმფცია ბრალდებულის განსაკუთრებული გარანტიაა სისხლის სამართლის პროცესში. „უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც მათ შორის გულისხმობს ყველას მოექცნენ იმ დაშვებით, რომ იგი უდანაშაულოა მანამ, ვიდრე ჯეროვანი პროცედურის დაცვით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა. შესაბამისად ჯეროვანი პროცედურების გარეშე დაუშვებელია პირის აღიარება დამნაშავედ“<sup>6</sup>. ამ პრინციპის არსებობა გარკვეულწილად გულისხმობს ბრალდებულის დაცვას, რათა წინასწარ არ მოხდეს მისი დამნაშავედ გამოცხადება ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

კანონმდებლობაში უდანაშაულობის პრეზუმფციის არსებობა ემსახურება ბრალდებულის უფლებების დაცვას არა მხოლოდ სამართალმწარმოებელ ორგანოებში, არამედ საზოგადოებაშიც, აგრეთვე მისი მიზანია სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობა. უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან და მთელი სამართალწარმოების პროცესზე ვრცელდება, მანამ სანამ საბოლოო განაჩენი არ იქნება გამოტანილი. იგი ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს და სრულყოფილი დაცვის განხორციელებას უწყობს ხელს.<sup>7</sup> სასამართლო მთელი

<sup>5</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 5.1, 2009

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>7</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ გიორგაძე გ, თბილისი, 2015. გვ. 49

სამართალწარმოების პროცესში უნდა იცავდეს უდანაშაულობის პრეზუმფციას და დაუშვებელია მოსამართლემ წინასწარი განწყობა შეიქმნას ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში განაჩენის გამოტანამდე მთელი სასამართლო პროცესი მხოლოდ ფორმალურ სახეს მიიღებს და საბოლოო განაჩენი წინასწარ შექმნილი შეხედულებით, პროცესუალური ნორმების დარღვევით იქნება გამოტანილი. მოსამართლე თუ ბრალდებულს თავიდანვე დამნაშავედ მიიჩნევს მტკიცებულებების გამოკვლევას არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნება.

უდანაშაულობის პრეზუმფციის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს ვინ შეიძლება იყვნენ ამ უფლების ადრესატები და რა მასშტაბით ვრცელდება იგი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე. ძირითადად პრეზუმფციის ადრესატად მოიაზრება სახელმწიფო, რადგან მას აქვს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიურ ვალდებულება დაიცვას ბრალდებულის უფლებები. ადამიანის ძირითადი უფლებები ბოჭავს სახელმწიფოს. რადგან უდანაშაულობის პრეზუმფცია ბრალდებულის ერთ-ერთი უფლებაა და მისი დაცვის ვალდებულება სახელმწიფო ორგანოებს აკისრია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დროს ბრალდებულის უფლება არ უნდა იყოს დაცული. სახელმწიფო თავის მხრივ ვალდებულია თავი შეიკავოს პირის უფლებების დარღვევისგან, მაგრამ მას ამავდროულად ეკისრება ვალდებულება დაიცვას მოქალაქის უფლებები, მათ შორის მესამე მხარისაგან.<sup>8</sup> მესამე მხარეში იგულისხმება როგორც ფიზიკური აგრეთვე იურიდიული პირები, მათ შორის მედია საშუალებებიც.

კერძო პირების მხრიდან ბრალდებულის უფლებების დაცვა გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკური პირებისგან მისი უფლებების დაცვას არამედ მედია საშუალებებისგანაც. კერძო სამართლებრივი ურთიერთობები გარკვეული ნორმებით რეგულირდება. თუ ურთიერთობების მომწესრიგებელ მარეგულირებელ ნორმებს უფლებების შესაბამისად განვმარტავთ ისინი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე ირიბად იმოქმედებს, შესაბამისად მედიაც, როგორც კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე და სუბიექტი ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის უფლებები და არ დაარღვიოს უდანაშაულობის პრეზუმფცია.

პრეზუმფცია განსაზღვრავს ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსს არა მხოლოდ სისხლის სამართალწარმოებაში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც, რომელშიც იგი მონაწილეობს<sup>9</sup>. ამგვარ ურთიერთობებში მოიაზრება მედიასთან ურთიერთობაც. შესაბამისად მედიასაშუალებები მაქსიმალურად ფრთხილად უნდა მოეპყრონ პირის ბრალეულობის საკითხს და სამართლებრივი საკითხების გაშუქებას. ნებისმიერი ქმედება, რომელიც ისეთ

<sup>8</sup> კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი 2004. გვ.14

<sup>9</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გიორგაძე გ., თბილისი, 2015. გვ.49



წარმოდგენას ქმნის თითქოს პირის ბრალეულობა უკვე დადგენილია არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, რამდენად მალაღიკ არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ინტერესი მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისადმი დაუშვებელია წინასწარი განწყობის შექმნა ან თუნდაც ასეთი განწყობის შექმნისათვის მედია საშუალებების მიერ ხელშეწყობა<sup>10</sup>.

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, უდანაშაულობის პრეზუმფციის მხოლოდ ფორმალურად დაცვა არ არის საკმარისი. განხილვაში მონაწილე პირებმა უნდა უზრუნველყონ ფსიქოლოგიური გარემოს შექმნაც. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სასამართლო ან ბრალდების მხარე ბრალდებულს წინასწარ არ მოიხსენიებს დამნაშავედ არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია ურთიერთობის ხასიათი, ვერბალური და ფაქტობრივი მოპყრობა. მაგალითად აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარე ბრალდებულის მიმართ ითხოვს გარკვეული შემაკავებელი ღონისძიების გამოყენებას, მან უნდა ამტკიცოს პირის მიერ „სავარაუდო“ დანაშაულის ჩადენა და არ უნდა მოიხსენიოს იგი დამნაშავედ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უდანაშაულობის პრეზუმფციის მიზანია ბრალდებულის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური ზნოლისგან დაცვა.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის განხილვისას განვითარებულია მოსაზრება, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მხოლოდ სისხლის სამართალში მოქმედებს და არ შეიძლება იგი სხვა კერძო სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში გამოვიყენოთ.<sup>11</sup> ჩვეულებრივ უდანაშაულობის პრეზუმფცია ვრცელდება ბრალდებულზე, თუმცა სამოქალაქო სამართალწარმოების ეტაპზე შეიძლება მისი გამოყენება. იმ შემთვევაში, თუ ბრალდებული სამოქალაქო წესით დაინწყებს დავას მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც მას სისხლის სამართალწარმოების პროცესში მიადგა, სასამართლო გარკვეულწილად მის მიმართ ბრალად წარდგენილ ქმედებას განიხილავს და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის რისკიც არსებობს. თუნდაც, როდესაც სამოქალაქო პროცესში მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება, მაგრამ მტკიცებულებების მიღებისა და განხილვის წესი განსხვავდება სისხლის სამართლის პროცესისგან.<sup>12</sup>

პრეზუმფციის მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის პროცესზე, არამედ სამოქალაქო წარმოების გარკვეულ

<sup>10</sup> Viorel burzo v Romania, ECtHR, 30/06/2009, & 160;

<sup>11</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მუხლი 40, თბილისი, 2013. გვ. 489. (მოქმედი, 2018 წლის, კონსტიტუციის 31-ე და ძველი კონსტიტუციის 40-ე მუხ.)

<sup>12</sup> Stefan Trechsel, Human Rights in Criminal Proceedings, OUP, 2006. 188-189.

ეტაპზეც. სამოქალაქო სასამართლო ზიანის ანაზღაურებისას უდანაშაულობის პრეზუმცია შეიძლება დაირღვეს თუ სასამართლო იმსჯელებს პირის ბრალეულობაზე და მტკიცებულებათა განხილვისას მოიშველიებს გადაწყვეტილებაში მოხსენიებული მიზეზები ან სხვა აშკარა და გადამწყვეტი მტკიცებულებები წარმოაჩენენ, რომ ხარჯების განაწილება გამოიწვია ბრალდებულის ბრალეულობის შეფასებამ.<sup>13</sup> უდანაშაულობის პრეზუმცია მოიცავს მტკიცების ტვირთის საკითხსაც, რომელიც შეიძლება წამოიჭრას არა მხოლოდ სისხლის სამართალში არამედ ზოგადად კანონმდებლობის მიმართ. რეპუტაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კრიტერიუმს იყენებს სასამართლო იმის დასამტკიცებლად შეესაბამება თუ არა უდანაშაულობის პრეზუმციას პირის მიმართ გაუღერებული ბრალეულობის საკითხები. ამგვარი საკითხების განხილვა შესაძლოა საჭირო გახდეს არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი საკითხების გადასაწყვეტად არამედ სხვა, მასთან კავშირში არმყოფ განცხადებებთან მიმართებითაც.<sup>14</sup>

როდესაც ვსაუბრობთ უდანაშაულობის პრეზუმციის მოქმედების ფარგლებზე, მნიშვნელოვანია საკითხის განხილვა თუ სად იწყება მისი მოქმედება და სადამდე გრძელდება ის. კანონის ტექსტს თუ სიტყვასიტყვით განვმარტავთ გამოდის რომ უდანაშაულობის პრეზუმცია მოქმედებას იწყებს პირის ბრალდებულად ცნობისთანავე, თუმცა სადაოა საკითხი სადამდე მოქმედებს ის ანუ სად წყდება მისი მოქმედება. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ისევ კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება დავიხმაროთ: „ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.“ როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს რომ უდანაშაულობის პრეზუმცია მოქმედებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე. სასამართლოს განაჩენი კი, როგორც ვიცით, კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. ასე რომ, უდანაშაულობის პრეზუმცია წყვეტს მოქმედებას მაშინვე როგორც კი სასამართლო გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს. აქ ვაწყდებით პრობლემას, ერთ მხარეს დგას კანონის ტექსტი ხოლო მეორე მხარეს ადამიანის უფლება თავს თვლიდეს უდანაშაულოდ მასინაც კი თუ სასამართლო გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს მის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, პირს აქვს ამისი კანონიერი უფლება, რადგან მას შეუძლია სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გაასაჩივროს სააპელაციო წესით: „სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია.“<sup>15</sup> ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს საკასაციო წესით: „საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა

<sup>13</sup> Minel v. Shwitzerald, ECtHR, Decision of 25/03/1983. იხ. <http://www.servat.unibe.ch/dfr/em866079.html>

<sup>14</sup> ტრეველი შ, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009. გვ. 190

<sup>15</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 292.1

პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა.<sup>16</sup> აქედან გამომდინარე ჩნდება ლოგიკური კითხვა, თუ პირს აქვს უფლება გაასაჩივროს სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, მაშინ ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ რატომ წყვეტს უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებას სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთანავე და რატომ არ გრძელდება ის აპელაციასა და კასაციაში. შესაძლოა აღნიშნული წარმოდგენდეს საკანონმდებლო ხარვეზს და უბრალოდ კანონმდებელს მხედველობიდან გამორჩა ამ საკითხის დარეგულირება. აღნიშნულ საკითხზე არსებობს ბევრი სასამართლო გადაწყვეტილება, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამტყუნებული პირი (რომლის მიმართაც უდანაშაულობის პრეზუმფცია უკვე აღარ მოქმედებდა) სააპელაციო სასამართლომ გაამართლა. მაგ: საქმე №1ბ/351-12, №123აპ-18, №1/ბ-447-14, №1ბ/351-12, №1/ბ-982-15. ამიტომ მსჯელობა იმის შესახებ რომ პირს უდანაშაულობისპრეზუმფცია აპელაციასა დაკასაციაშიც უნდა მიყვებოდეს საფუძვლიანია და ღრმად გააზრებას საჭიროებს.

### 1.2.2 უდანაშაულობის პრეზუმფციის სუბიექტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით უდანაშაულობის პრეზუმფციის გარანტიით სარგებლობა შეუძლია ყველას, რაც გულისხმობს რომ იგი ვცრელდება ყველაზე, მოქალაქეების ან სხვა სტატუსის მიუხედავად<sup>17</sup>

პრეზუმფციის *Ratline personae* ვრცელდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, მისი დაცვის ვალდებულება კი ეკისრებათ არა მხოლოდ პროცესის მწარმოებელ ორგანოს და ბრალდების მხარეს, არამედ მედიას და ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენელს.<sup>18</sup> ინდივიდის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებას იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან და მოქმედებს მთელი სამართალწარმოების პროცესში. შესაძლოა პირველი ინსტანციის სასამართლოში დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის თანახმადაც პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი, თუმცა უდანაშაულობის პრეზუმფცია არ წყვეტს მოქმედებას საკასაციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოცხადებისთანავე მიექცევა

<sup>16</sup>იქვე, მუხ. 300.1

<sup>17</sup>ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, ავტ. კოლ. რედ. კოპალეიშვილი მ. თბილისი 2013.

<sup>18</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. ავტ. კოლ. რედ. გიორგაძე გ. თბილისი, 2015, გვ. 50

აღსასრულებლად ვინაიდან და რადგანაც პირს აქვს უფლება სამი ინსტანციის სასამართლოში დაიყვას თავი დაუშვებელია სააპელაციო ან საკასაციო სასამართლომ წინასწარ შეიქმნას განწყობა პირის დამნაშავეობასთან დაკავშირებით.<sup>19</sup>

საინერესოა, შეიძლება თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციის სუბიექტი იყოს გარდაცვლილი, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა სისხლის სამართლებრივი დევნა? სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 105-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის გარემოებებს. ერთ-ერთ გარემოებად კი მითითებულია ბრალდებულის გარდაცვალება. პროკურორი გამოძიების შეწყვეტის დადგენილებაში აუცილებლად მსჯელობს პირის მიერ დანაშაულის სავარაუდო ჩადენაზე და გამოძიების შეწყვეტის საფუძველად უთითებს ბრალდებულის გარდაცვალებას და არა ქმედების არარსებობას. ანუ ნაწილობრივ დგინდება პირის ბრალეულობა გამოძიების შეწყვეტის მიზნებისთვის და არ ხდება მისი დამნაშავედ ცნობა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.<sup>20</sup> იგივე შეიძლება ითქვას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო გამოძიების შეწყვეტაზეც. ამ შემთხვევაშიც ხდება პირის ბრალეულობის დადასტურება, თუმცა ვინაიდან გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა პროკურორი წყვეტს გამოძიებას.

### 1.3 შიდა საკანონმდებლო რეგულაციები

საქართველოს შიდა საკანონმდებლო რეგულაციები უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების დაცვას. უპირველესია, საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მიუთითებს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება იქამდე, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით.<sup>21</sup> უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე განმტკიცებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, კერძოდ მე-5 მუხლში. ასევე, უდანაშაულობის პრეზუმფცია განმტკიცებულია საერთაშორისო კანონმდებლობით, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

#### 1.3.1 საქართველოს კონსტიტუცია

<sup>19</sup> Hornsby v. Greece, ECtHR, 19/03/1997

<sup>20</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. გიორგაძე გ. თბილისი, 2015. გვ.50

<sup>21</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 31, 2018

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი სამართალწარმოების პროცესში სახელმწიფოს თვითნებობისგან ადამიანის დაცვის გარანტია. უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურ ნორმებში განმტკიცება პირს იცავს დანაშაულის დამნაშავედ გამოცხადებისა და დანაშაულის დაბრალებისაგან. მტკიცების პროცესის სწორად წარმართვა სამართლიანი წარმოების მნიშვნელოვანი ელემენტია. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი შეიცავს მნიშვნელოვან დებულებას მტკიცების პროცესთან დაკავშირებით. მტკიცებულების დასაშვებობისა და მათი შეფასების საკითხები ძირითადად საპროცესო კანონმდებლობაშია მოცემული, თუმცა კონსტიტუციური ნორმები სუბსიდიარულობის პრინციპიდან გამომდინარე, ადგენს გარკვეულ მოთხოვნებს.<sup>22</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი უზრუნველყოფს თავისუფლების ხელშეუხებლობის დაცვას, რაც თავის მხრივ გულისხმობს გადაადგილების თავისუფლებას. პირი თავად უნდა განსაზღვრავდეს სად და როდის სურს ყოფნა, რაც გარანტირებულია სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება აბსოლუტური არ არის და მასში ჩარევა გარკვეულწილად შესაძლებელია. სასამართლოს გადანწყვეტილებით, გარკვეული რეგულაციების და მოთხოვნათა დაცვით, პირს შესაძლოა შეეზღუდოს ან აღიკვეთოს თავისუფლება.

მე-17 მუხლი პირდაპირ კავშირშია უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვასთან, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულს შესაძლოა თავისუფლება შეეზღუდოს კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვით და დაცულ სფეროში ჩარევა კანონიერად განხორციელდეს აუცილებელია თავისუფლების შეზღუდვის დროს დაცული იყოს საქმის სამართლიანი განხილვა, უდანაშაულობის პრეზუმფცია და სხვა.

### 1.3.2 სხვა საკანონმდებლო აქტები

„არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს“.<sup>23</sup> უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესში ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს და ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. თუ ბრალდებულის მიმართ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა დაუშვებელია.<sup>24</sup> სასამართლო თავის

<sup>22</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტ.კოლ. მუხ. 40, თბილისი, 2013. გვ.489

<sup>23</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხ. 5(2), 2009

<sup>24</sup> ტრევესელი შ. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009. გვ. 189-190

უფლებამოსილებას წინასწარი განწყობის გარეშე უნდა ახორციელებდეს, მოსამართლემ ბრალდებულს უნდა მისცეს თავის დაცვის შესაძლებლობა.<sup>25</sup>

უდანაშაულობის პრეზუმაცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია და მისი დაცვა პროცესის ნებისმიერ ეტაპზე სავალდებულოა არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებისთვის არამედ სასამართლოსთვისაც. კონსტიტუციის 31-ე მუხლით განმტკიცებული უფლება კიდევ უფრო მეტადაა განვრცობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. პრეზუმაციის უფლება გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს უფლებასაც, რომელიც არა მხოლოდ სისხლის სამართალწარმოებისას არამედ დისციპლინურ კანონდარღვევებზეც ვრცელდება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით დაცულია „უდანაშაულობისა და თავისუფლების“ პრეზუმაცია, რომლის თანახმადაც უდანაშაულობის პრეზუმაციის ზოგადი პრინციპების დაცვა სასამართლო პროცედურების ყველა ასპექტში უნდა ასახოს, რაც თავის მხრივ სასამართლო პროცესის გაუმჯობესებასა და ბრალდებულის მიმართ მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზეც ვრცელდება.

### 1.3.3 საერთაშორისო კანონმდებლობა

უდანაშაულობის პრეზუმაცია, რომელიც გარანტირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პარაგრაფით და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით სამი ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნისგან შედგება<sup>26</sup>, კონვენციით გარანტირებული ეს უფლება პირველ რიგში მოითხოვს, რომ ბრალდების მხარემ ბრალდებასთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია მიიწოდოს ბრალდებულს, რათა მან შეძლოს თავის დაცვა და პოზიციის მომზადება.<sup>27</sup> მეორე მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს, რომ მტკიცების ტვირთი აუცილებლად ბრალდების მხარეს ეკისრება და ბოლოს დაუშვებელია სასამართლო ორგანოებმა წინასწარ მიიჩნიონ პირი

<sup>25</sup> თავის დაცვის შესაძლებლობაში იგულისხმება ნებისმიერი საპროცესო ქმედება რისი განხორციელების უფლებაც მხარეებს აქვთ სასამართლო განხილვის პროცესში. მაგ. თავის დაცვის შესაძლებლობაში შეიძლება მოიაზრობდეს მტკიცებულებების გამოკვლევა, შესავალი და დასკვნითი სიტყვით სარგებლობის უფლება. რამაც ერთიანობაში შესაძლოა მოსამართლე ბრალდებულის უდანაშაულობაში დაარწმუნოს.

<sup>26</sup> Barberà, Messegué and Jabardo v. Spain ECtHR 6/12/1988, პარაგრაფი 77

<sup>27</sup> იქვე.

დამნაშავედ, ნებისმიერი სახის განცხადებები, რომელიც პირის ბრალეულობას უკავშირდება არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას. უდანაშაულობის პრეზუმფცია პირველ რიგში ზღუდავს სასამართლო ხელისუფლებას, რაც ქმნის გარანტს, რომ პირის ბრალეულობაზე მითითება არ მოხდეს საბოლოო განაჩენის გამოტანამდე.

უდანაშაულობის პრეზუმფციის არსებობის ზოგადი მიზანია „სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობა ბრალდებულის ხელშეუხებლობის და დაცვის უფლების ეფექტიანობის უზრუნველყოფის გზით“.<sup>28</sup> საერთაშორისო სამართალში ამ მიზნების დაცვას ემსახურება სხვადასხვა საერთაშორისო აქტი, რომლებშიც დაცული და განმტკიცებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის გარანტიები. ერთ-ერთი ყველაზე ძველი საერთაშორისო აქტიც კი, 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ემსახურება თითოეული ინდივიდის უფლების დაცვას, მათ შორის ბრალდებულისაც, განსაკუთრებით კი დაცულია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც მთლიანი სამართალწარმოების პროცესში ბრალდებულის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას უწყობს ხელს. „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“.<sup>29</sup> „ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“<sup>30</sup> „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას, დაპატიმრებას ან გაძევებას“<sup>31</sup> და ბოლოს „ყველა ვისაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად“.<sup>32</sup>

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 და მე-14 მუხლები იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებას. „თითოეულ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“<sup>33</sup>

ყველაზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური საერთაშორისო აქტი, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციას იცავს არის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.<sup>34</sup> კონვენციის მიზნების ეფექტურად განხორციელებისათვის შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც ზედამხედველობს ადამიანის უფლებასა და დარღვევასთან

<sup>28</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ კოლ. რედ. გიორგაძე გ. თბილისი, 2015. გვ. 49

<sup>29</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მუხ. 1.

<sup>30</sup> იქვე, მუხ. 3.

<sup>31</sup> იქვე, მუხ. 9.

<sup>32</sup> იქვე, მუხ. 11.

<sup>33</sup> იხ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. მუხ. 14.

<sup>34</sup> იქვე



განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კონვენციის 6.2 მუხლის მიხედვით „ყველა ბრალდებული მიიჩნევა უდანაშაულოდ კანონის შესაბამისად დამნაშავედ ცნობამდე“, ზემოხსენებული პრინციპი გამოიყენება არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებში არამედ სამოქალაქო საქმეებშიც.<sup>35</sup> სწორედ ეს საერთაშორისო ნორმაა ყველა იმ შიდასამართლებრივი აქტების საწინდარი, რომლითაც უდანაშაულობის პრეზუმფციას დაცული. ზემოთ აღნიშნულის გარდა უდანაშაულობის პრეზუმფციის სამართლებრივი გარანტიები მოცემულია ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტილაში, ამერიკული კონვენციაში და სხვა.

## თავი II. უდანაშაულობის პრეზუმფციის სამართლებრივი ასპექტები

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც მოქმედებს იწყებს პირის მიერ ბრალდებულის სტატუსის მინიჭების მომენტიდან. უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს წყვეტს, მაშინ როდესაც პირის მიმართ გამოტანილი იქნება კანონიერი გამამტყუნებელი განაჩენი. იგი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ გამამტყუნებელი განაჩენი გასაჩივრებულია სააპელაციო ან საკასაციო წესით. უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აგრძელებს თუ ბრალდებული გამართლდა და უდანაშაულოდ იქნა მიჩნეული ან პირს მოეხსნა ბრალდება.<sup>36</sup>

<sup>35</sup> სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი)

<sup>36</sup>მელაძე გ. სამართლის მიმოხილვის ბლოგი, მე-6 მუხლის კომენტარები, 2012. ხელმისაწვდომია <https://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/06/>

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს რამდენიმე სამართლებრივი ასპექტი გააჩნია.

## 2.1 მტკიცების ტვირთი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მტკიცების ტვირთი აკისრია პროკურორს. ვინაიდან, ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარე სასამართლოში ვერ წარადგენს მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისი იქნება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტისთვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული ან გაჩნდება თუნდაც მცირეოდენი ეჭვი მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით, ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.<sup>37</sup>

საქმეზე აღენე დე რიბემონი საფრანგეთის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, რადგანაც პოლიციის მაღალი თანამდებობის პირმა ერთ-ერთ პრესკომფერენციაზე, ისე, რომ სასამართლო განხილვა არ იყო დაწყებული რიბემონი დაასახელა მკვლელობის წამქეზებლად. ვინაიდან არ იყო დამტკიცებული რიბემონის მიერ დანაშაულის ჩადენა და არ არსებობდა შესაბამისი სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.<sup>38</sup>

აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის განმარტებით, რომ ბრალდების მხარის ვალდებულებაა მოახდინოს ბრალდებულის სათანადო ინფორმირება, თუ რა დანაშაულის ჩადენაში ედება მას ბრალი და როგორ მიმდინარეობს საქმის წარმოება, რათა შესაძლებლობა მიეცეს შესაბამისად მოამზადოს და წარმოადგინოს დიტყვა და დოკუმენტები საკუთარი თავის დასაცავად. ასევე ბრალდების მხარეს აკისრია ვალდებულება მოიპოვოს საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალდებულის მსჯავრდებისათვის.<sup>39</sup>

ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. აღნიშნული უფლების გამოყენება არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. ბრალდებულის მიერ დუმილის უფლების გამოყენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. ალიბის უქონლობა ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმა არ არის საკმარისი იმის

<sup>37</sup> Barbera v. Spain ECtHR. 06/12/1988

<sup>38</sup> Allenet de ribemont v. France. ECtHR. 10/02/1995

<sup>39</sup> Telfner v. Austria. ECtHR. 20/03/2001 § 15

დასამტკიცებლად, რომ პირმა ნამდვილად ჩაიდინა ბრალად წარდგენილი დანაშაული.<sup>40</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხის პირველი პარაგრაფით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას არღვევს განაჩენი, რომელიც ეფუძნება განსასჯელის მიერ დუმილის უფლების გამოყენებას. ამით ირღვევა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არანებაყოფლობით მიცემის აკრძალვა. მაგრამ არ არის აკრძალული სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის დროს მტკიცებულებათა შეფასების ეტაპზე დუმილის უფლების გათვალისწინებას, „თუ ბრალდების მხარე ბრალდებულის წინააღმდეგ საქმეში ძლიერ მტკიცებულებებს წარმოადგენს, რომელნიც ნათლად საჭიროებენ შესაბამის ახსნა-განმარტებას განსასჯელის მხრიდან. ამგვარი შეფასების ნაწილში უნდა დადგინდეს თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ განსასჯელს დუმილის სხვა მიზეზებიც ჰქონდეს“.<sup>41</sup>

## 2.2 სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილებები

განაჩენის გამოტანამდე სასამართლოს მიერ მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება და მოსაზრება არ უნდა გამოხატავდეს მოსაზრებას ბრალდებულის დამნაშავეობის შესახებ.

ბრალდებულის მიმართ ბრალის წარდგენის შემდეგ ძირითად შემთხვევაში გამოიყენება აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახე, რომლის შეფარდების დროსაც სასამართლოს უწევს გარკვეულწილად შეაფასოს მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც ბრალდების მხარე ითხოვს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. აღკვეთის შუამდგომლობაში ბრალდების მხარე ყოველთვის მიუთითებს იმ საფრთხეებზე, რომელიც შესაძლოა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში გამოვლინდეს. ასეთია მაგალითად: ახალი დანაშაულის ჩადენისა და მიმალვის საფრთხე, მონმეებზე ზემოქმედების საფრთხე და სხვა. თუ სასამართლო სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას და ბრალდებულს შეუფარდებს აღკვეთ ღონისძიებას განაჩენის ნაწილში აუცილებლად მიუთითებს იმ საფრთხეებზე, რომელთა საფუძველზეც მიიღო გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში, საკამათოა შეიძლება თუ არა ჩაითვალოს სასამართლოს მიერ შუალედური გადაწყვეტილების მიღებისას საფრთხეების ჩამოთვლა უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევად?

<sup>40</sup> <https://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/06/>

<sup>41</sup> Minelli v. Switzerland ECtHR 25/06/1983 § 37

მტკიცებულებები, რომლებიც აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, საკმარისია აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის კი არ არის აუცილებელი იმგვარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც განაჩენის გამოტანისთვის იქნებოდა საკმარისი. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი ბრალდების მხარეს აძლევს შესაძლებლობას პირი ცნოს ბრალდებულად და სასამართლოში იშუამდგომლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე<sup>42</sup> როდესაც პირი იმხილება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ივარაუდება, რომ მისგან მომდინარეობს საფრთხე. შესაბამისად სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება არ შეიძლება ჩაითვალოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად.

შვეიცარიის სააპელაციო სასამართლომ პირობითი მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით შეცვალა ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც მინელს მხოლოდ აღიარებული ჰქონდა დანაშაული და ახალი დანაშაულის ჩადენისთვის განაჩენი გამოტანილი არ ჰქონდა სასამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი ჩატარდა სასამართლოს უზენაესობის პრინციპის დაცვით და განსასჯელს მიეცა შესაბამისი დაცვის უფლების გამოყენება სასამართლომ მაინც დადგინდა მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის დარღვევა და გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ “უდანაშაულობის პრეზუმფცია, განხილული მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფის ვალდებულების ჭრილში, გამორიცხავს ბრალის დადგენას კომპეტენტური სასამართლოს წინაშე წარმართული სასამართლო პროცესის გარეშ, მიუხედავად ამგვარ პარალელურ პროცესში უზრუნველყოფილი პროცედურული გარანტიებისა და აგრეთვე მიუხედავად სწრაფი განხილვის კუთხით არსებული ზოგადი მოსაზრებებისა”.<sup>43</sup>

სასამართლოს მიერ მიღებული კიდევ ერთი შუალედური გადაწყვეტილებაა წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემა. წინასასამართლო სხდომაზე „არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა”.<sup>44</sup> წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე აფასებს მტკიცებულებებს, რამდენად არის საკმარისი ისინი ვარაუდისთვის, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. მტკიცებულებების შეფასებაში არ იგულისხმება მათ შინაარსში შესვლა. მოსამართლე ამ ეტაპზე მხოლოდ მტკიცებულებათა მიპოვების სამართლებრივ

<sup>42</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. გიორგაძე გ. თბილისი, 2015. გვ. 32

<sup>43</sup> Minelli v. Switzerland ECtHR 25/06/1983 § 67

<sup>44</sup> იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 219-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

მხარეს აფასებს. რაც გულისხმობს იმას, რომ წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა არ ნიშნავს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, მით უფრო, რომ მოსამართლე რომელიც საქმეს არსებითად განსახილველად გადასცემს არ შეიძლება მონაწილეობდეს საქმის არსებითად განხილვაში.

აუცილებლობას წარმოადგენს, მოსამართლემ აკონტროლოს თავისი ყოველი ქმედება და გამონათქვამები სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას რათა არ დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება.

„მოსამართლეებისა და მსაჯულების პირადი მიუკერძოებლობის პრეზუმფცია არსებობს მანამ, სანამ საპირისპირო დამტკიცდება. საქმეზე სანდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას არ მოუსმინა მიუკერძოებელმა ტრიბუნალმა, რადგანაც ნაფიცო მსაჯულები რასობრივი ნიშნით მიკერძოებულები იყვნენ. სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას მოსამართლეს ნაფიცმა მსაჯულმა მიაწოდა წერილობითი შეტყობინება იმის შესახებ, რომ სხვა მსაჯულები რასისტულ რეპლიკებს და ხუმრობებს გამოთქვამდნენ, რასაც ადასტურებდა ერთი მსაჯული. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს თავისთავად არ უტოლდებოდა მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ მსაჯული მიკერძოებული იყო განმცხადებელთან მიმართებით. თუმცა, მოსამართლის მხრიდან მსაჯულებისთვის ხელახალი მიმართვა არასაკმარისად იქნა მიჩნეული მიუკერძოებლობის არარსებობის შესახებ გონივრული შთაბეჭდილებისა და შიშის გასაფანტად“<sup>45</sup>

### 2.3 საჯარო მოხელეების ვალდებულება

სშირია შემთხვევები, როდესაც საჯარო მოხელეები პირის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით აკეთებენ განცხადებებს, თუმცა მათ არ აქვთ უფლება გააკეთონ იმგვარი განცხადებები, რომ გამოხატონ პოზიცია პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით, მანამ, სანამ არ დამტკიცდება, მისი დამნაშავეობა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით.

ევროპული სასამართლოს მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში განმარტებულია, რომ „სავალდებულოა არა მხოლოდ სისხლის სამართლის სასამართლოში, რომლის წინაშეც პირი წარდგენილია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის, არამედ სხვა, სახელმწიფო ორგანოებისთვისაც. არც ერთი პირი არაა უფლებამოსილი

<sup>45</sup> ლიჩი ფ. როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. თბილისი 2013. გვ. 353-353. იხ. [http://gba.ge/uploads/files/attachments/Full\\_Book.pdf](http://gba.ge/uploads/files/attachments/Full_Book.pdf)

დამნაშავედ ცნოს ადამიანი სისხლის სამართლის დანაშაული, თუ იგი არ არის ნასამართლევი კომპეტენტური ორგანოს მიერ“.<sup>46</sup>

საქართველოში ხშირია შემთხვევები როდესაც საჯარო მოხელეებს ჟურნალისტები გარკვეული პოლიტიკური პირებისა თუ საზოგადოების წევრების მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთებას სთხოვენ. მაგალითად ერთ-ერთმა ინტერნეტ ჟურნალმა დეპუტატებს სთხოვა შეეფასებინა პ. უ-ს მიმართ გამოთქმულ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომელშიც მას სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით ამხელდნენ, კომენტარების გაკეთება. ჟურნალში ვკითხულობთ დეპუტატების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს „ამ ფაქტებს დადასტურება სჭირდება. არ მაქვს ინფორმაცია ეს ფაქტები რეალურია თუ არა. სახალხო დამცველის დასკვნას არ გავცნობივარ, თუ ასეთი ფაქტი დადასტურდა, ამის გამართლება არ შეიძლება და შესაბამისი რეაგირება უნდა მოჰყვეს“, - უთხრა ჟურნალს ერთ-ერთმა პოლიტიკური პარტიის წევრმა.<sup>47</sup> „ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში არსებობდა ომბუდსმენის დასკვნა და მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ საქმის კურსში და არანაირი რეაგირება არ მოხდა. დაუშვებელია, რომ ხელს აფარებდნენ თავის თანამშრომელს, ვინც არ უნდა იყოს ის. ამ ყველაფერს სამართლებრივი რეაგირება სჭირდება“, - გამოთქვამს ერთ-ერთი მათგანი<sup>48</sup> ამ მცირე სტატიაში ორ სხვადასხვაგვარ მოსაზრებას ვაწყდებით. პირველ შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა არ ფიქსირდება, თუმცა მეორე განცხადების შემთხვევაში უკვე სახეზეა უდანაშაულობის პრეზუმციის უგულებელყოფა. „დაუშვებელია, რომ ხელს აფარებდნენ თავის თანამშრომელს“ ეს გამონათქვამი თავისთავად უკვე ნიშნავს, რომ პირის მიმართ წინასწარ ჩამოყალიბებულია აზრი მისი დამნაშავეობის შესახებ რაც პირდაპირ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმციას.

ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტები გამოთქვამენ განსასჯელის ბრალეულობის შესახებ გარკვეულ მოსაზრებებს ან ახდენენ ამ კუთხით კერძო პირთა ციტირებას. „სახელმწიფო მოხელეებმა პატივი უნდა სცენ უდანაშაულობის პრეზუმციას და ისარგებლონ მათი უფლებით მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია საჭირო სიფრთხილისა და სიფხიზლის გამოყენებით.“<sup>49</sup>

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს დაიცვან უდანაშაულობის პრეზუმცია და არა ინდივიდებს ან პრესას. სახელმწიფო ვერ იქნება პასუხისმგებელი პრესის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრესა ხელისუფლების ორგანოებისაგან და საჯარო

<sup>46</sup> Howden v. The United Kingdom. ECtHR. 10/10/1994. ob. <http://echr.ketse.com/doc/20755.92-en-19941010/>

<sup>47</sup> ჩალუნელი ს., სტატიაში დეპუტატების შეფასებები პაპუნა უგრეხელიძის შესახებ სექსუალური შევიწროვების ბრალდებაზე. ხელმისაწვდომია: <https://on.ge/story/20375>

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ვარშავა 2014. გვ. 73.

მოხელეებისგან მიღებულ ინფორმაციას ეფუძნება.<sup>50</sup> რაც ნიშნავს იმას რომ მედია საშუალებებმა შესაძლოა დაარღვიონ უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაზეც უფრო დანჯრილებით ნაშრომის სხვა თავში ვისაუბრებ.

## 2.4 გარანტიის შედეგზე ორიენტირებული ასპექტები

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს აქტიურ როლს. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პროცედურული უფლებების რეალიზაციას ემსახურება სზაკ-ით დადგენილი სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც იმავდროულად, „სამართლიანის“ შინაარსს განსაზღვრავენ. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში (სზაკ-ის 95-ე მუხლი) ითვალისწინებს პირის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს წარმოებაში, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში კი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას – უზრუნველყოს მისი ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ზემოაღნიშნული ვალდებულება, განსაკუთრებით, ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს დაინტერესებული სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლება მხარის სამართლებრივი მდგომარეობა, სადაც დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება არის მნიშვნელოვანი სზაკ-ით განსაზღვრული ისეთი უფლებების გამოსაყენებლად, როგორებიცაა დაინტერესებული მხარის მიერ წარმოების მასალების გაცნობისა და საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებები. ვინაიდან, სზაკ-ი უშვებს ამ მნიშვნელოვანი პროცედურული უფლების შეზღუდვას ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, როდესაც დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშე წარმოების ჩატარება გამართლებულია საჯარო და კერძო ინტერესებისათვის ზიანის თავის აცილების ინტერესებით.

ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე უნდა აისახოს თუ რატომ მიენიჭა უპირატესობა კერძო ან საჯარო ინტერესს. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება<sup>51</sup> და ადმინისტრაციულ წარმოებაში მასალების გაცნობის უფლება<sup>52</sup> არის ის პროცედურული უფლებები, რომლებიც ემსახურება მისი მატერიალურსამართლებრივი უფლების რეალიზაციას. საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, როდესაც ადმინისტრაციული

<sup>50</sup> მელაძე გ., სამართლის მიმოხილვის ბლოგი, მე-6 მუხლის კომენტარები, 2012. ხელმისაწვდომია <https://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/06/>

<sup>51</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 98-ე მუხლები, 1999

<sup>52</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლი, 1999



ორგანო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს განმცხადებელს განცხადების უარყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ორ შემთხვევაში:

პირველი, როდესაც მასალები არის უშუალოდ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული შიდაუნეებრივი ხასიათის დოკუმენტები და რომლებიც არ ხდება მხარისათვის ხელმისაწვდომი;

მეორე, როდესაც დოკუმენტებს აქვთ საიდუმლო დოკუმენტის სტატუსი, რაც შეიძლება, არ გახდეს ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარისთვის, თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლო შეფასების შედეგად ადგენს დოკუმენტის გაცნობისა და საიდუმლოების დაცვის ინტერესებს შორის უპირატესს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, ასევე - ყველა მტკიცებულება 97-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს მათი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ადმინისტრაციული ორგანოს ამ ვალდებულებაში შეიძლება დანახულ იქნეს დაინტერესებული მხარის მნიშვნელოვანი პროცედურული უფლება.

სამართლის მეცნიერის, პაატა ტურავას მოსაზრებით, სწორედ აპროცედურული უფლებების სრულყოფას ემსახურება სზაკ-ის 85-ე მუხლის ისეთი ზოგადი დებულება როგორცაა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების განწვეის მოვალეობა. სზაკ-ით გარანტირებული დაინტერესებული მხარის ეს პროცედურული უფლებები მნიშვნელოვანია სამართლებრივი დაცვის კუთხით, რამდენადაც სამართლებრივი დაცვა ხდება არა მარტო სასამართლოში, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც. გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და მტკიცებულებების მოპოვების ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება უფლებების უფრო მაღალი ხარისხით დაცვა, ვიდრე შემდგომ სასამართლო განხილვის ფარგლებში შეცდომის კორექტირებისას, იმის გათვალისწინებით, რომ მმართველობითი დისკრეციის (განუსაზღვრელი ცნებები, შეფასების თავისუფალი სივრცე) ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების გადამონმების ფარგლები სასამართლოს მხრიდან არის შეზღუდული.

## 2.5 რეპუტაციასთან დაკავშირებული ასპექტები

როგორც, უკვე აღვნიშნეთ, უდანაშაულობის პრეზუმფცია მოიცავს მტკიცების ტვირთის საკითხსაც, რომელიც შეიძლება წამოიჭრას არა მხოლოდ სისხლის სამართალში არამედ ზოგადად კანონმდებლობის მიმართ. რეპუტაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კრიტერიუმს იყენებს სასამართლო იმის დასამტკიცებლად შეესაბამება თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციას პირის მიმართ გაუღერებული ბრალეულობის საკითხები. რომელთა განხილვაც განხილვა შესაძლოა საჭირო გახდეს არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივ არამედ სხვა, მასთან კავშირში არმყოფ განცხადებებთან მიმართებითაც.

პატივი არის პირის რეპუტაცია, მორალური თვისებები და პრინციპები, რომლებიც საზოგადოების მხრიდან პატივისცემას იმსახურებს. პატივი ილახება იმით, რომ გარკვეული გარემოებების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია შეარყიოს პირის იმიჯი და მოახდინოს მისი დისკრედიტირება, ხელმისაწვდომი ხდება პირთა მეტ-ნაკლებად ფართო წრისათვის. აკრძალულია პირის რეპუტაციის და თვითშეფასების მხოლოდ უკანონოდ შეზღუდვა. შესაბამისად, უკანონოდ ითვლება და იკრძალება საქმისწარმოების პროცესში მექარის, იძულების და ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც ხელყოფს პირის უნარს მიიღოს თავისუფალი და გაცნობიერებული გადაწყვეტილება. აქვე იგულისხმება, ბრალდებულის მიმართ დაკავების ან/და დაპატიმრების გამოყენება ჩვენების მიცემის იძულების მიზნით, დაკითხვის წარმოება გაუმართლებლად დიდი ხნის განმავლობაში, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის დაკითხვა ანდა პირის დაკითხვა ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მას არ გააჩნია ადეკვატური უნარი საკუთარი პოზიციის დასაცავად.

## 2.6 უდანაშაულობის პრეზუმფცია და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო აღიარებს კანონის, როგორც ფუნდამენტური პრინციპის უზენაესობას. ქვეყნის განვითარებასთან ერთად შიდასახელმწიფოებრივ დონეზე თუ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მოთხოვნა ბევრად უფრო გაზრდილია. თავისუფლება დემოკრატიის მთავარი მონაპოვარია. “თავისუფლება უფასურდება, თუ ის არ არის გაჯერებული სამართლიანობით - ფართო გაგებით, თავისუფლების იდეა აზრს დაკარგავს, თუ ის არსებითად ერთნაირი შინაარსის მატარებელი და ერთნაირად ხელმისაწვდომი არ იქნება ყველასთვის. ბუნებრივია, აქ არ არის საუბარი თავისუფლების პერსონალურ აღქმაზე, არამედ იგულისხმება მისი

(თავისუფლების) სამართლებრივი განზომილება - ადამიანების გარანტირებული შესაძლებლობა, სრულყოფილად ისარგებლონ თავიანთი უფლებებითა და თავისუფლებებით. მაშასადამე, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს შექმნისა და შენარჩუნების სირთულე და მთავარი გამოწვევა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი ძირითადი მონაპოვარი - თავისუფალი ადამიანი - ხელშესახები, რეალური შინაარსის მატარებელი იყოს, იმავდროულად, არსებითად, თვისებრივად ერთნაირ სიკეთეს წარმოადგენდეს თითოეული ადამიანისთვის და სწორედ ასეთად აღიქმებოდეს მათ მიერ.<sup>53</sup>

აღნიშნული შესაძლებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტს კი უპირველესად სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი და დროული განხილვა წარმოადგენს. კანონის არსებობას მაშინ აქვს აზრი, როცა გარანტირებულია მისი დაცვის ქმედითი მექანიზმები, როგორც საკანონმდებლო, ასევე პროცესუალური თვალსაზრისით. კანონის უზენაესობის დაცვა უპირველესად უზრუნველყოფილი ხდება ისეთი სახელმწიფო სისტემის შექმნით, რომელშიც გარანტირებული იქნება სამართლიანი სასამართლოს უფლების „ნამდვილი“ შინაარსი.

სამართლიანი სასამართლოს უფლება კანონის უზენაესობის დაცვის ფუნდამენტური ელემენტია. იგი მართლმსაჯულების განხორციელებას უკავშირდება. სამართლიანი სასამართლოს პრინციპი იცავს სამართლის სუბიექტთა ინდივიდუალურ უფლებებს და თანაბრად შეეხება ყველა ინსტანციის სასამართლოს სამართლიანი სასამართლოს უფლება თავისი შინაარსით წინაპირობაა, რომ საზოგადოებას ჰქონდეს საკუთარი ინტერესების სამართლიანი, კანონშესაბამისი და მიუკერძოებლად განხილვის რწმენა და გონივრული მოლოდინი, თუმცა აღნიშნულისთვის რა თქმა უნდა უფლების მხოლოდ დოქტრინაში განერა არ კმარა. აღიარებასთან ერთად, აუცილებელია უფლების შინაარსის სრულად გააზრება, ჯეროვანი დაცვა, განხორციელების უზრუნველსაყოფად ქმედითი ინსტიტუტების შექმნა, აღნიშნულ ინსტიტუტებში სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები დასაქმდებიან.

საქმის სამართლიანი და დროული განხილვა კონსტიტუციით აღიარებული ნებისმიერი უფლების რეალიზების მთავარი გარანტია. სასამართლო ხელისუფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებს, აკონტროლებს დაინტერესებული პირის სამართლებრივად დაცვის ღირსი ინტერესების უზრუნველყოფასა თუ განხორციელებას. „ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება“.<sup>54</sup> საქმის სამართლიან და დროულ განხილვას სამართლიანი სასამართლოს მიზნის უზრუნველყოფის აუცილებელ წინაპირობად მივიჩნევთ.

<sup>53</sup> ერემაძე ქ. ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013 წ. გვ. 8

<sup>54</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 1/3/407, 26.12.2007 წ.

საქმის სამართლიანი განხილვა არაერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს გულისხმობს, უფრო ზუსტად, არსებობს პირობები, რომელთა კუმულაციურად არსებობის შედეგად ვიღებთ საქმის სამართლიან განხილვას. ზოგადად ტერმინი, „სამართლიანი“ თავისი ბუნებით განუსაზღვრელი ცნებაა და საჭიროებს შემდგომ ინტერპრეტაციას, რაშიც განსაკუთრებული როლი ეკისრება კანონმდებელს, შესაბამისი საკანონმდებლო აქტის შექმნის პროცესში, და სასამართლო ხელისუფლებას, მართლმსაჯულების განხორციელებისას ნორმის განმარტების ფარგლებში.<sup>55</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი, ისევე როგორც კონსტიტუციის წინა რედაქციის 42-ე მუხლი, აღიარებს სასამართლოსათვის მიმართვის, საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლებას ისე, რომ სამართალწარმოების კონკრეტულ სახეზე არანაირი მინიშნება არ კეთდება. აღიშნული კი იმის მაუწყებელია, რომ უფლების მოქმედების სფერო მოიცავს ნებისმიერი (საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციულ, სისხლისა თუ სამოქალაქო, ასევე საკონსტიტუციო) სამართალწარმოების პროცესს და შესასრულებლად სავალდებულოა ყველა შემთხვევაში.

„კონსტიტუციით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არსებობს სწორედ კონსტიტუციით დამკვიდრებულ ინსტიტუციურ სისტემაში. კერძოდ, უფლება სამართლიან სასამართლოზე არ არის აბსტრაქტული და მოიაზრებს უფლების დაცვის შესაძლებლობას კონსტიტუციის ინსტიტუციური სისტემით განსაზღვრული სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით, კონსტიტუციაში მოცემული შესაბამისი ინსტიტუციური მოთხოვნების გათვალისწინებით.<sup>56</sup> რაც შეეხება უფლების საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებით დაცვას, საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გარანტირებულია სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების სავალდებულო ხასიათი. ქვეყნის უზენაეს კანონი სახელმწიფოს მიერ სათანადო წესით რატიფიცირებულ აქტებს საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდგომ იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგომ სამართლებრივ აქტად აღიარებს. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია“ წარმადგენს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ აქტს, რომელიც ამკვიდრებს და იცავს ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადამიანის

<sup>55</sup> ტურავა პ. „სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლება და მისი ინსტიტუციური გარანტია“, სტატიათა კრებული ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, თბილისი, 2018, გვ. 249

<sup>56</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის 3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჭაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჭაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამაღბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (ლევან ბეჭაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II. პ.68;

უფლებათა დაცვის სტანდარტებს და სწორედ აღნიშნული კონვენციის შესაბამისად შეუძლია დაინტერესებულ პირს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ყველა სათანადო ინსტანციის გავლის შემდგომ მიმართოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ სტრასბურგის სასამართლოს ვერ უზრუნველყოფს ეროვნული სისტემების ხარვეზების სრულ გამოსწორებას, სწორედ ამიტომ საჭირო და აუცილებელია კონვენციის წევრ სახელმწიფოთა სასამართლო ინსტიტუციები იყოს ეფექტური და ქმედითი. ადამიანის ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისას ე. ი. უფლების შიდაეროვნულ დონეზე განმარტების შეფასებისას „ინცება დილოგი შიდასახელმწიფოებრივ მოსამართლესა და სტრასბურგის სასამართლოს შორის, და, საბოლოოდ მათ შორის არათორმალური, მაგრამ რეალური თანამშრომლობა მყარდება“.<sup>57</sup> ადამიანის ევროპული სასამართლოს როლსა და მნიშვნელობას სამართლიანი სასამართლოს დაცვის სფეროში ნაშრომში კიდევ არა ერთხელ შევეხებით.

საქართველოს კონსტიტუციის 31 მუხლის პირველი პუნქტი მოწოდებულია შექმნას სამართლებრივი, დემოკრატიული, სოციალური სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი გარანტიები. იგი გულისხმობს ნებისმიერი სამართლებრივი საკითხის დარეგულირებას კანონის უზენაესობის პრინციპის ზედმიწევნით დაცვით. უფლების არსის განმარტებითაც ნათელია, რომ იგი ჩემი, თქვენი და საერთოდ, ნებისმიერი ადამიანის „იმედია“, რომ შეუძლია იყოს თავისუფალი, თანასწორი, პრინციპული და რაც მთავარია დაცული უფლების ნებისმიერი ხელყოფისაგან. დემოკრატიული სახელმწიფო გულისხმობს ხალხის ნების შესაბამის მმართველობას, სწორედ ამიტომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ნიშნავს თითოეული ადამიანის, როგორც ხელისუფლების წყაროს, მთავარი იდეის დასაყრდენს.<sup>58</sup>

---

<sup>57</sup> კორკელია კ. როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით? თბილისი, 2010, გვ. 11.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 13

### თავი III. უდანაშაულობის პრეზუმფცია და ჟურნალისტური ეთიკა

#### 3.1 ჟურნალისტური ეთიკა

საქართველოში ძირითადად ოთხი მედია საშუალება ფუნქციონირებს, ესენია: ბეჭდური მედია, რადიომაუწყებელი, ტელემაუწყებელი და ინტერნეტმედია. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე პრობლემური რეგულირების თვალსაზრისით არის ინტერნეტსივრცის სამართლებრივი მონესრიგება. აგრეთვე არ არის სრულყოფილად მონესრიგებული ბეჭდური მედიის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობა. არ არსებობს კანონი, რომელიც განსაზღვრავდა ბეჭდური მედიის კლასიფიკაციას და სამართლებრივი საკითხების გაშუქების ხარისხს. იმ თვალსაზრისით, რომ პრესას მსოფლიოში მოქმედების და გავრცელების ფართო არეალი აქვს მას მაღალი ხარისხით ეკისრება ვალდებულება და პასუხისმგებლობა გადასცეს სწორი ინფორმაცია და არ შეიყვანოს საზოგადოება შეცდომაში. მაუწყებლობაში თავის მხრივ იგულისხმება ტელე და რადიომაუწყებლობა. მათი სამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგება ხდება „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონით. აგრეთვე შესაძლოა გამოყენებულ იქნას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონები.<sup>59</sup>

ჟურნალისტები ძირითად შემთხვევაში ცდილობენ სენსაციური ინფორმაცია მოიპოვონ და ავიწყდებათ, რომ მათ მიღებული ინფორმაცია ობიექტურად და ეთიკის ნორმების დაცვით უნდა გაშუქდეს. ჟურნალისტები ზოგ შემთხვევაში ჭორის დონეზე მოპოვებულ ინფორმაციასაც აშუქებენ, რაც ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევადაც შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ არსებობს სიტყვის თავისუფლება, რომელიც ისეთი აზრის გავრცელებასაც გულისხმობს, რომელიც შესაძლოა ბევრისთვის უსიამოვნო ან არასასურველი იყოს.

არის თუ არა სიტყვის თავისუფლება აბსოლუტური ან რომელიმე უფლებაზე მაღლა მდგომი უფლება? შეიძლება თუ არა გამოხატვის თავისუფლება უფრო პრიორიტეტული იყოს ვიდრე ღირსების უფლება ან თუნდაც უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, როდესაც სამართლებრივი საკითხების შეჭერება და დაპირისპირება ხდება?.

<sup>59</sup> ჯორბენაძე ს. ბახტაძე უ. მაჭარაძე ზ. მედიასამართალი, თბილისი 2014. გვ. 27

კონსტიტუციით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპის თანახმად, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. გამოხატვის თავისუფლება, რომელშიც მედიის, სიტყვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების თავისუფლებაც მოიაზრება არ არის აბსოლუტური უფლება. იგი ძალიან მნიშვნელოვანი უფლებაა დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის, თუმცა გამოხატვის თავისუფლება სხვათა უფლებებით დეტერმინირებული და მიზემ-მედევობრივად განპირობებული უფლებაა. სასამართლოებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ნებისმიერი ძირითადი უფლება უფლებრივი წესრიგის ნაყოფია და, შესაბამისად, მისი მოქმედების ფარგლები ისე უნდა განისაზღვროს, რომ ზიანი არ მიაღვეს ამ წესრიგს.<sup>60</sup>

გარდა კონსტიტუციური ნორმებისა ჟურნალისტების მიერ ინფორმაციის გაშუქებისას გამოიყენება საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის მიერ შემუშავებული „ეთიკის კოდექსი“, მასზე ნებაყოფლობით ხელის მოწერის შემდეგ იგი სავალდებულოა შესასრულებლად.

„ეთიკის კოდექსის“ მე-6 მუხლი ადამიანის უფლებების პატივისცემაა, რომელშიც ვკითხულობთ: „გაუმართლებელია სისხლის სამართლის ძეხასთან, გამოძიებასთან ან სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ რეპორტაჟში ტენდენციური სახის კომენტარისა თუ შეფასების კეთება. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი პირი არ შეიძლება დამნაშავედ იქნას წარმოდგენილი მანამ, ვიდრე მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენით“.<sup>61</sup> მიუხედავად ამისა ხშირ შემთხვევაში გვხვდება ისეთი რეპორტაჟები რაც პირდაპირ არღვევს ბრალდებულისთვის მინიჭებულ ფუნდამენტურ უფლებას, უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელიც მთელ მის დაცვის უფლებას უზრუნველყოფს სასამართლო პროცესისა და გამოძიების ეტაპზე.

„ეთიკის კოდექსის“ გარდა, დანაშაულისა და ანტისოციალური ქცევის გაშუქების სტანდარტებს ადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე, სადაც მთლიანი თავი აქვს დათმობილი დანაშაულის და ანტისოციალური ქმედების გაშუქების სტანდარტებს.<sup>62</sup>

<sup>60</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. მუხლი 44. თბილისი, 2013. გვ. 275

<sup>61</sup> იხ. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი.

<sup>62</sup> იქვე.



სიზუსტე და ობიექტურობა ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია და გულისხმობს, რომ მედია საშუალებებმა საზოგადოებას ობიექტური ინფორმაცია უნდა მიაწოდონ, ისე, რომ საზოგადოებას თავისი სუბიექტურობის, მიკერძოებულობის ან ემოციური ფონის გამო არ შეუქმნას არასწორი შთაბეჭდილება, მით უფრო როდესაც საქმე დანაშაულში მხილებული პირის მიერ ჩადენილი ქმედებების განხილვასა და გაშუქებას ეხება.

### 3.2 თვითრეგულირების რისკები

გამოხატვის თავისუფლების შესახებ არ არსებობს მხოლოდ ერთი საკანონმდებლო აქტი, იგი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებშია თავმოყრილი. გამოხატვის თავისუფლების უფლება პირდაპირ კავშირშია მედიის თავისუფლებასთან, შესაბამისად ყველა ის უფლება თუ ვალდებულება რაც საქართველოს კონსტიტუციის 17-ე მუხლში მოცემულ უფლებასთანაა დაკავშირებული მედია საშუალებებზეც ვრცელდება.

საქართველოში სხვა დემოკრატიული ქვეყნების მსგავსად დაცულია მედიის თავისუფლება. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში ვკითხულობთ: „საქართველოში პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფალია. ეს თავისუფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული“.<sup>63</sup> მიუხედავად ამისა არ შეიძლება მედია საშუალებები ავრცელებდნენ ნებისმიერი ტიპის ინფორმაციას. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია ჩარევა და შეზღუდვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების.<sup>64</sup> „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს შესაძლებელია სასამართლოს მეშვეობით პასუხისმგებლობა დაეკისროს, თუ იგი ყალბ ცნობებს გაავრცელებს, შეურაცხყოფს მოქალაქეთა ღირსებას.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საქართველოს კანონი „მაუწყებლის შესახებ“, რომელიც არეგულირებს მაუწყებლის სფეროში საქმიანობას. მაგრამ, ამ კანონში ნათქვამი არაა კონკრეტულ ქმედებასთან დაკავშირებით რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ჟურნალისტს, ან შესაძლებელია თუ არა ზოგადად პასუხისმგებლობის დაკისრება.

<sup>63</sup> იხ. საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებების შესახებ“.

<sup>64</sup> იქვე. მუხლი 4

„საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელმა ასოციაციის“ მიერ შეიმუშავა „ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი“, რომელზეც 2000 წლის ოქტომბერში მუშაობა დაიწყო ჟურნალისტთა სპეციალურმა ჯგუფმა. მათ მიერ გამოიკვლეული მსოფლიოს 7 წამყვან ქვეყანაში მოქმედი ჟურნალისტური საქმიანობის ნორმები, რომლებიც შემდგომ, ქართულ ჟურნალისტურ კოდექსს დაედო საფუძვლად.

აქვე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს საკანონმდებლო სისტემა არ მოიცავს არანაირ ნორმებს, რომელიც, მედიის ურთიერთობებს არეგულირებს. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი აქტები ძირითადად მედიის სუბიექტების მიერ თვითკონტროლირებად ქცევის წესებს მოიცავს.

სშირია შემთხვევები, როდესაც არასწორი მოსაზრებები არსებობს მედიის თვითრეგულირების საკითხებთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა, რთულია საუბარი ბეჭდური და ინტერნეტ მედიის მარეგულირებელ ნორმებზე, თუმცა, არსებობს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ პროგრამის მომზადებისა და გადაცემის პრინციპებს, აგრეთვე ადგენს გარკვეულ რეკომენდაციებსაც. მაუწყებლის ქცევის კოდექსის<sup>65</sup> მე-2 თავში მონესრიგებულია თვითრეგულირებისა და ანგარიშვალდებულების ნორმები. თვითრეგულირება ეს არის ერთგვარი ტესტი ყველა მაუწყებლისთვის რათა მიეცეს შესაძლებლობა დაინტერესებულ პირს დაიცვას თავისი უფლებები, რათა გამოასწოროს მაუწყებლის მიერ დაშვებული შეცდომა. ეთიკური ნორმების დაცვასა და უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული შემთხვევების შესახებ პასუხისმგებლობას თავად მედია იღებს. იგი ვალდებულია სათანადო რეაგირება მოახდინოს დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში.<sup>66</sup>

საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც დღეისთვის საქართველოში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს რა თქვა უნდა არ არის მაკონტროლებელი ნორმები. დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ მედიის კონტროლი, თუმცა რისკი იმისა, რომ მედიის თავისუფლების „აბსოლუტური“ დაცვით სხვა ინდივიდების არაერთი უფლება შეიძლება შეილახოს საკმაოდ მაღალია. სახელმწიფო ვერ გააკონტროლებს მედიის თავისუფლებას, ეთიკის კოდექსი რაიმე კონკრეტულ ურთიერთობებს არ ანესრიგებს, იგი მხოლოდ ბუნდოვანი აკრძალვების ერთიანობაა და ისიც იმ შემთხვევაში თუ ჟურნალისტი მასზე ხელს თავისი სურვილით მოაწერს.<sup>67</sup>

<sup>65</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე. იხ. <http://infocenter.gov.ge/elections2017/Broadcasting-Code-of-Conduct.pdf>

<sup>66</sup> გოგოსაშვილი მ., თვითრეგულირება, 03/03/2018.იხ. <https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/49663-thvithregulireba>

<sup>67</sup> კლოდ-ჟან ბერტრანი, მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემა, რედ. კინწურაშვილი თ. თავისუფალი ინსტიტუტი 2004. გვერდი 7

2005 წელს საქართველოში შეიქმნა „მედია-საბჭო“ რომლის მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ კომუნიკეზე ხელმომწერი პირები აცნობიერებენ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და იქმნება მედია-საბჭო, როგორც თვითრეგულირებისა და ანგარიშვალდებულების ორგანო, რომელიც საზოგადოების წინაშე აგებს პასუხს და განიხილავს მოქალაქეთა საჩივრებს უფლება პროფესიული სტანდარტების უხემ დარღვევასთან დაკავშირებით.<sup>68</sup> აღნიშნულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გაამყარეს მედიის თვითრეგულირების შესაძლებლობები და დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან.

თვითრეგულირების პირობებში, როდესაც მედია აჭარბებს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს, სიღრმეებით იკვლევს პირის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულს და საზოგადოებას აწვდის ნებისმიერი ტიპის ინფორმაციას, რომელსაც მოიპოვებს, რამდენად შეიძლება ვიმსჯელოთ ბრალდებულის უფლებებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვაზე. „ეთიკა ან ხარისხის კონტროლი მედიის ყველა პრობლემის მარტივი და გლობალური გადაწყვეტა როდია. ის მარტივი პანაცეა რომ იყოს, მედიის ანგარიშვალდებულების სისტემებს ყველგან ვიხილავდით. ფაქტობრივად მათი მხოლოდ მცირე ნაწილი მოქმედებს“.<sup>69</sup> ყველაზე უკეთეს შემთხვევაში შესაძლოა პირმა, რომლის უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება მედიის გამონათქვამების გამო დაირღვა, მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის იბრძოლოს სასამართლოში, რაზეც უფრო დანვრილებით სხვა თავში ვისაუბრებთ.

კიდევ ერთი რისკის შემცველი საკითხი - სისხლის სამართლის საქმეები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერაც განიხილება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად ნაფიც მსაჯული შეიძლება იყოს 18 წელს გადაცილებული საქართველოს მოქალაქე,<sup>70</sup> რომელიც გადაწყვეტილებას მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე იღებს. როგორც წესი პრესის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე სახელმწიფო პასუხს არ აგებს, მაგრამ როდესაც მედიის მიერ ყურადღება დანაშაულებრივი ქმედების გაშუქებისკენაა მიპყრობილი, შესაძლოა საერთო აზრზე მოახდინოს გავლენა, მოსამართლეებისა და ნაფიც მსაჯულების ჩათვლით, რომლების გადაწყვეტილებას იღებენ პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით.<sup>71</sup> „ნაფიც მსაჯულების გადაწყვეტილების დასაბუთება განსასჯელის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის თაობაზე თითქმის არანაირ შემონიშნებას არ ექვემდებარება. საქმის ფაქტობრივ მდგომარეობასთან მიმართებით სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო

<sup>68</sup> მჭედლიშვილი დ. შეიქმნა ორი მედია ორგანიზაცია: „მედია-საბჭო“ და „პრესის-საბჭო“. <http://www.media.ge/ge/portal/articles/7200>

<sup>69</sup> კლოდ-ჟან ბერტრანი, მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემა, რედ. კინწურაშვილი თ. თავისუფალი ინსტიტუტი 2004. გვ. 190

<sup>70</sup> იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 29, 2009

<sup>71</sup> მელაძე გ. სამართლის მიმოხილვის ბლოგი, მე-6 მუხლის კომენტარები., 2012. ხელმისაწვდომია <https://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/06/>

გასაჩივრება დაუშვებელია“.<sup>72</sup> სასამართლო ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს მოვალეობას, რომ მათ გადაწყვეტილება მიუკერძოებლად და მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა მიიღონ, აგრეთვე თუ შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა მასმედიით მისი ინტენსიური გაშუქების ან მისდამი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით, საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა.

შეუძლებელია ზემოთ მოყვანილმა ნორმამ შეამციროს ნაფიც მსაჯულებზე მედიის ზემოქმედების რისკი. სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოები არ არიან უფლებამოსილი ნაფიც მსაჯულებს გაუკონტროლონ სასამართლო პროცესებს შორის მათი ყოველდღიური ურთიერთობები. კითხულობენ თუ არა პრესას, უსმენენ თუ არა ახლო ნათესავებისა და მეგობრების მოსაზრებებს, უყურებენ თუ არა ტელევიზორს და ა.შ. ძირითად შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველი პროცესები რეზონანსულია და მედია საშუალებები აქტიურად ამუშავებენ სასამართლო და ბრალდებულის ირგვლივ მიმდინარე პროცესებს. ნაფიც მსაჯული რომელსაც არანაირი გამოცდილება არ აქვს შესაძლოა პრესის ზეგავლენის ქვეშ მოექცეს.<sup>73</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირდაპირ თუ ირიბად ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფცია ირღვევა, რადგან ნაფიც მსაჯულების განსახილველ სასამართლოზე მათი წინასწარი განწყობის შექმნის რისკი არსებობს, რაც პირდაპირ არღვევს მოთხოვნას „აქვს უფლება ითვლებოდეს უდანაშაულოდ სანამ არ იქნება იგი ცნობილი ბრალეულად კანონის თანახმად“.<sup>74</sup>

### 3.3 სახელმწიფოს როლი

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო არის მონოლითური კონცეფცია იგი იზიარებს მედია მრავალფეროვნებას. „1990-იან წლებში ზოგად პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიბერალიზაციაში შეიცვალა მედიის მასშტაბები მრავალ ქვეყანაში განვითარებისა და განვითარებისთვის. ლიბერალიზაციამ ასევე შესაძლებლობა მისცა ორგანიზაციებს, რომლებიც სიტყვის თავისუფლებისთვის იბრძვიან განემტკიცებინათ თავიანთი უფლებები. შეიქმნა დამოუკიდებელი საინფორმაციო-საეთერო და

<sup>72</sup> თ.რეხვიაშვილი, კვლევითი დეპარტამენტის ანალიტიკური მიმოხილვა. 2010, გვ.190, ხელმისაწვდომია [http://www.library.court.ge/upload/nafic\\_msajulTa\\_sasamarTlo.pdf](http://www.library.court.ge/upload/nafic_msajulTa_sasamarTlo.pdf)

<sup>73</sup> ჯორბენაძე ს. ბახტაძე უ. მაჭარაძე ზ. მედიასამართალი, თბილისი 2014. გვ. 161

<sup>74</sup> UDHR მუხლი 1(1)

სამაუწყებლო სადგურები, გაიზარდა თავისუფალი დებატების რიცხვი, ინფორმაციის გავრცელება და სახელმწიფო და საზოგადოების დაკვირვება.<sup>75</sup>

როდესაც მედიასაშუალებები რაიმე სახის ინფორმაციას ავრცელებენ ხშირ შემთვევაში ამ ურთიერთობაში სახელმწიფოც მონაწილეობს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მნიშვნელოვანია მედიის თავისუფლება და მედიასამართლის სუბიექტების დაცვა, რათა არ დაირღვეს მათი უფლებები, თუმცა სახელმწიფო ამავდროულად ვალდებულია დაიცვას ინდივიდების ინტერესები. გამოხატვის თავისუფლება და თავისუფალი პრესის ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებებია. თუ მედია არ იქნება დამოუკიდებელი შესაძლოა ქვეყნის დამოუკიდებლობასაც შეეწყმინას საფრთხე.<sup>76</sup> ყოვლისმომცველი ინფორმაციისა და მოსაზრებების თავისუფალი გაცვლის ხელმისაწვდომობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის, რათა მათ ჩამოიყალიბონ პოზიცია და შეხედულებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, გააკეთონ თავისუფალი არჩევანი და დაცულები იყვნენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან.<sup>77</sup> მაგრამ, რა მოხდება თუ მედიის სწრაფვა საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისკენ ერთი ბრალდებულის სამართლებრივ ინტერესებს უგულებელყოფს და მას, როგორც „დამნაშავეს“ ინტერესის ობიექტად აქცევს?.

სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც სახელმწიფო მედიის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების გაშუქების პროცესში ჩაერევა არ არსებობს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მხოლოდ სახელმწიფოს ავალდებულებს და არა ინდივიდებს, ან პრესის დამოუკიდებელ ორგანოებს, არ ჩაერიონ და ხელი შეუწყონ უფლებების დაცვას, თუმცა სხვათა უფლებების პატივისცემა ნებისმიერ ინდივიდს თუ კერძო სამართლის სუბიექტს ვვალდება.

სახელმწიფოს წარმომადგენელია ნებისმიერი საჯარო პირი, რომელიც მედია საშუალებებს აწვდის ინფორმაციას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. მათ აკისრიათ ვალდებულება დაიცვან საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით დაცული ადამიანის უფლებები. სახელმწიფო ოფიციალური პირები განაჩენის გამოტანამდე ხშირად აკეთებენ განცხადებებს, რომელშიც საუბარია ბრალდებულების ან გამოძიებაში მყოფი პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.<sup>78</sup> სახელმწიფო პირების მიერ გაკეთებულმა წინასწარმა განცხადებებმა, შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს მოსახლეობაზე. მათ, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელმა პირებმა პატივი უნდა სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციას და სწორად შეარჩიონ თითოეული სიტყვა, როდესაც სამართლებრივ საკითხებთან

<sup>75</sup> In brief; Media and freedom of expression. 1

<sup>76</sup> ჯორბენაძე ს. ბახტაძე ე. მაჭარაძე ზ. მედიასამართალი, რედ. ჯორბენაძე ს. თბილისი 2014. გვ. 56

<sup>77</sup> In brief Media and freedom of expression

<sup>78</sup> ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ვარშავა 2014, გვ.73

დაკავშირებულ ინფორმაციას ავრცელებენ, რადგან შესაძლოა მათ მიერ გაკეთებული განცხადება ბრალდებულის დამნაშავედ აღიარების ტოლფასი იყოს.<sup>79</sup>

როდესაც საჯარო მოხელეებს ხშირი ურთიერთობა აქვთ მედიასთან, მათი თითოეული სიტყვა მიეწოდება საზოგადოებას და განხილვის საგნად იქცევა, მათი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლების როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია. დანაშაულთან დაკავშირებული საკითხების სწორად მიწოდება სახელმწიფოს კიდევ ერთი ვალდებულებაა, რათა დაცულ იქნას უდანაშაულობის პრეზუმფცია და შენარჩუნდეს ბალანსი მედიის თავისუფლებასა და ინდივიდის უფლებებს შორის, რომლის მიმართაც სასამართლოს ჯერ კიდევ არ გამოუტანია გამამტყუნებელი განაჩენი.<sup>80</sup>

### 3.4 დანაშაული და მედია

ზოგადი შეფასების კუთხით თუ ვიმსჯელებთ, მედია და სამართალი - ორი ერთმანეთისგან განყენებული ფენომენია, მაგრამ თუ დანვრილებით განვიხილავთ, ზემოაღნიშნულ ორ ინსტიტუტს ერთმანეთთან მეტად მჭიდრო კავშირი გააჩნიათ.

სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს მედიას, თავის მხრივ მედიაც, ხშირად პოპულარიზაციის მიზნით, კავშირშია სისხლის სამართალთან.<sup>81</sup>

დანვრილებით განვიხილოთ მედიისა და სისხლის სამართლის დამაკავშირებელი მთავარი პრინციპები, შემდგომ კი შევეცადოთ განვიხილოთ ის ძირითადი წინააღმდეგობები, რასაც პრაქტიკაში ვაწყდებით მედიისა და სისხლის სამართლის ურთიერთკავშირის დროს.

სისხლის სამართალი - კერძოდ, პრაქტიკულად კი გამოძიება, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მედიაზე. ხშირად გამოძიება იყენებს მედიას

<sup>79</sup> იქვე. გვ. 73-74

<sup>80</sup> ჯორბენაძე ს. ბახტაძე უ. მაჭარაძე ზ. წიგნში: მედიასამართალი, რედ. ჯორბენაძე ს. თბილისი 2014, გვ. 56

<sup>81</sup> დაუთაშვილი პ. კონცელიძე ა. მედია და სისხლის სამართალი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები 2012, N17. გვ.69

ინფორმაციის გასავრცელებლად და საგამოძიებო მოქმედებების წარმატებით ჩატარება ბევრ შემთხვევაში სწორედ მედიაზეა დამოკიდებული.

სამართლებრივი აქტების ნაწილი (მათ შორის სისხლისსამართლებრივი აქტების) სავალდებულო წესით საჭიროებს გამოქვეყნებას პრესაში (მაგ.: „საკანონმდებლო მაცნე“). შეიძლება ითქვას, რომ პრესა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და ეფექტური საშუალებაა კანონმდებლის მიერ მიღებული აქტების აღრესატებამდე (საზოგადოებამდე) მისატანად. საგამოძიებო ორგანოები ხშირ შემთხვევაში ძალზე ეფექტურად იყენებენ ტელევიზიას, როგორც ინფორმაციის მასობრივი გავრცელების საშუალებას. ხშირად ტელევიზიის საშუალებით გადმოიცემა ამა თუ იმ პირის ძებნილად გამოცხადების ფაქტი, რაც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას, აძლევს თავდაცვისა და მობილიზების საშუალებას<sup>82</sup>.

პროფესიონალ გამომძიებელს, თუ მას შეუძლია ინფორმაციის სწორად მართვა, მისი მიზანმიმართული გამოყენება და ინფორმაციის გავრცელების სწორი ორგანიზება, ასევე შეუძლია სისხლის სამართლის საქმეებიც კი გახსნას პრესის მეშვეობით. საგამოძიებო საქმიანობაში ცნობილი ფაქტია, რომ სატელევიზიო განცხადებაზე - ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, საგამოძიებო ორგანოებთან პირველი კონტაქტში შედის დამნაშავე, ყვება მომხდარი შემთხვევის თაობაზე, უბრალოდ ცვლის მოქმედ გმირებს ან ფაქტებს თავის სასარგებლოდ (იმ მიზნით, რომ კვალი დაფაროს და თავიდან აიცილოს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა), რაც, ერთი მხრივ, გამომძიებელს აწვდის ზუსტ ინფორმაციას მომხდარი ფაქტის თაობაზე, მეორე მხრივ, უმცირებს სავარაუდო დამნაშავეთა წრეს და გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით უადვილებს დანაშაულის გახსნას.<sup>83</sup>

ტელევიზიის მეშვეობით ხშირად გადის სარეკლამო რგოლები მოწოდებით საზოგადოებისადმი, რომ ითანამშრომლონ პოლიციასთან. ასევე აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს საკანონმდებლო ნოვაციების რეკლამირება. მაგალითად, აქტიური რეკლამა ხდებოდა სისხლის სამართალში შემოტანილი ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნოვაციისა, როგორც არის - ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, სამართლებრივადაც, რომ მედია არა მარტო სისხლის სამართლის კანონმდებლობის პოპულარიზაციას უწყობს ხელს და ეხმარება საგამოძიებო ორგანოებს, არამედ ასევე მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს საზოგადოებაში სამართლებრივი ცოდნის ამაღლებას.<sup>84</sup>

<sup>82</sup> ბერტრანი ჟან კლოდ, მედია, ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები, თბილისი 2009. გვ. 57

<sup>83</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი 1999

<sup>84</sup> ადვიშვილი ზ. მედია და სამართალი, თბილისი 2004. გვ. 41-42



მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი: როცა ერთ დღეს ტელევიზიით აჩვენებენ თუ როგორ დააკავეს პირი ქურდობის ფაქტზე და მიუსაჯეს მას პატიმრობა, მეორე დღეს პოტენციური ქურდი, ვინც ეს ვიდეორგოლი იხილა, უფრო მაღალი ალბათობით იქნება მოტივირებული, რომ არ ჩაიდინოს დანაშაული, რადგანაც ის უკვე გათვითცნობიერებული იქნება იმაში, რომ თუ ის ჩაიდენს დანაშაულს, მასაც იგივე ბედი ეწევა, რაც იმ ქურდს, რომელიც ხელეებზე ბორკილებდადებული იხილა ტელევიზიით.<sup>85</sup>

საკანონმდებლო ნოვაციების შემთხვევაში (მაგალითისთვის იგივე შემთხვევაში - სისხლის სამართალშიც) მედია არის უმნიშვნელოვანესი საშუალება კანონმდებელსა და საზოგადოებას შორის პირდაპირი კონტაქტის დასამყარებლად.

### 3.5 მედიის მიერ ბრალდებულის დამნაშავედ ქცევის საფრთხე

ახლა კი განვიხილოთ უარყოფითი მხარე ანუ ის წინააღმდეგობები და პრობლემები, რომლებსაც ვაწყდებით მედიისა და სისხლის სამართლის ურთიერთშეხების პროცესში, რამაც შეიძლება მედიის მიერ ბრალდებულის დამნაშავედ ქცევის საფრთხე შექმნას.<sup>86</sup>

მედიის საშუალებით შეიძლება ჩადენილ იქნეს უამრავი ისეთი დანაშაული, რაც დასჯადია სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით. მაგალითად: ტელევიზიით საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება; ამა თუ იმ პირზე სახელგამტეხი ცნობების გავრცელება; სახალხო მოწოდება დაუმორჩილებლობის, ხელისუფლების შეცვლის თუ ტერორიზმისკენ. როგორც ვხედავთ, მედიის საშუალებით თავისუფლად არის შესაძლებელი უამრავი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის ე.წ. რეკლამირება.<sup>87</sup>

მედია თვალსაჩინო როლს ასრულებს ომისა და საგანგებო სიტუაციების დროს. შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები საქართველოს უახლოესი წარსულიდან. საკითხი ეხება 2008 წელს საქართველო-რუსეთის ომის დროს განვითარებულ მოვლენებს. ამ დროს მედია აქტიურად მუშაობდა ცხელ წერტილებში და პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას საზოგადოებას. ხშირ შემთხვევაში ტელევიზიით ნაჩვენები შეტაკების და აფეთქების კადრები დამაშინებელ ეფექტს ახდენდა ადამიანებზე. ასეთ კადრებს შეიძლება ითქვას, რომ ჰქონდა პირდაპირი დაშინებისა

<sup>85</sup> დაუთაშვილი პ. კონცეფციე ა. მედია და სისხლის სამართალი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები 2012, N17. გვ. 71

<sup>86</sup> ჯორბენაძე ს. ბახტაძე უ. მაჭარაძე ზ. მედიასამართალი, თბილისი 2014, გვ.181

<sup>87</sup> დაუთაშვილი პ. კონცეფციე ა. მედია და სისხლის სამართალი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები 2012, N17. გვ. 71

და ტერორის ეფექტი საზოგადოებაზე, რომელიც ჩვენი ოპინენტის წისქვილზე ასხამდა წყალს. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ეს მედიის მხრიდან წინასწარგანზრახულად არ ხდებოდა, პირიქით, მას სურდა წარუშლელი ფაქტების ფიქსირება. თან ესეც რომ არა, აქ ორი სიკეთის თანათარღობასთან გვაქვს შეხება, პირველი - საზოგადოების უფლება მიიღოს და გაავრცელოს დაუბრკოლებლად ინფორმაცია, ხოლო მეორე - ის მავნე ეფექტი, რაც გამოიხატება აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შედეგში - საზოგადოების დაშინებასა და ტერორში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მედია არა მარტო სახელმწიფოს და სამართალს უწევს დახმარებას, არამედ კრიმინალებსაც ეხმარება დასახული ბოროტი მიზნების განხორციელებაში. ამისი ნათელი მაგალითია ისეთი ტრანსნაციონალური დანაშაული - როგორც არის ტერორიზმი. ცნობილი ფაქტია, რომ ტერორიზმის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების, ხელისუფლების დაშინება და დატერორება. ამ გზით კი მათი დათმობაზე, თუ დათანხმებაზე წასვლა და ა.შ. ტერორისტების მიერ დასახული მიზნების შესრულებაში კი უპირველესი დამხმარის როლს სწორედ მედია ასრულებს. მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი საბარელი ტერორიზმის რეალური მაგალითი, ცათამბჯენების დანგრევის და დატრიალებული ტრაგედიის შემთხვევა პირდაპირი ეთერით გადაიყა არა მარტო ამერიკაში, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ამ ყველაფერმა თავბარი დასცა არა მარტო აშშ-ს, არამედ მთელ მსოფლიოს. გამოიწვია შიში, აუიოტაჟი და ტერორი მსოფლიო საზოგადოებაში. ეს ყველაფერი ვის აწყობდა? - რა თქმა უნდა, ტერორისტებს, რომლებმაც დაგეგმეს და განახორციელეს დივერსიული აქტები. გამოდის, რომ მედია, ნებისთუ უნებლიეთ ტერორისტების „დამხმარე“ აღმოჩნდა მათ მიერ დასახული ბინძური მიზნების შესრულების პროცესში. აქედან შეიძლება ნათელი დასკვნის გამოტანა - მედია თვითონ ვერ დაარეგულირებს თავის ქცევას. მედიის ქცევა გარკვეულ ჩარჩოებში უნდა მოაქციოს სახელმწიფო ხელისუფლებამ და ამ გზით დაიცვას საზოგადოება. ერთი საკითხია ის, რომ ფაქტებს აფიქსირებს მედია და გადასცემს ისტორიას და მეორე საკითხია ის მავნე ეფექტი, რასაც ამ ფაქტების ჩვენებით იღებს საზოგადოება.<sup>88</sup>

უაღრესად აქტუალური და პრობლემური საკითხი მედიასთან მიმართებაში არის ასევე ის, რომ ქვეყანაში შიდა არეულობის დროს ხშირად მედია ასრულებს წამქეზებლის როლს, რომელსაც შეუძლია სამოქალაქო ომიც კი გამოიწვიოს. რა თქმა უნდა, უფრო უპრიანია, თუ მედია ორიენტირებული იქნება თავისი ფუნქციების შესრულებაზე და არა პოლიტიკური მდგომარეობის დაძაბვაზე ან პოლიტიკური მუღლის ჩამოგდებაზე ქვეყანაში, რაც არავისთვის არ არის სარგებლის მომტანი.<sup>89</sup>

<sup>88</sup> ჯორბენაძე ს. ბახტაძე უ. მაჭარაძე ზ. მედიასამართალი, თბილისი 2014. გვ. 184

<sup>89</sup> დაუთაშვილი პ. კონცეფციუ ა. მედია და სისხლის სამართალი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები 2012, N17. გვ. 72

შესაძლოა დაკავებულთა ტელევიზიით ჩვენება აღმზრდელობითი როლის მატარებელი იყოს, მაგრამ დაუშვებელია კეთილი მიზნის მიღწევა ბოროტების გამოყენებით, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ დროს სამართლებრივ სიკეთეთა თანაფარდობა ხშირ შემთხვევაში დარღვეულია. დაუშვებელია პირისათვის ასეთი მძიმე სულიერი ტანჯვის მიყენება. გამოდის, რომ პირს, ჩადენილი დანაშაულის გამო, საზოგადოების მტრად ვაცხადებთ იმის გათვალისწინებლად, რომ უმეტესი დანაშაულობებისა ისევ საზოგადოებიდან, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებიდან მომდინარეობს და ტელევიზიით ვაჩვენებთ საზოგადოებას იმ მიზნით, რომ ყველამ კარგად დაიმახსოვროს მისი სახე, რათა მთელი ცხოვრების მანძილზე დამადასმულმა იცხოვროს. ასეთ პირობებში რეალურად შეუძლებელია სასჯელის მიზნების მიღწევა, რაც დამნაშავეთა რესოციალიზაციაში და მათი უკან, საზოგადოებაში დაბრუნებაში და საზოგადოების ღირსეულ წევრობაში გამოიხატება.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იჩენს თავს მედიასა და სისხლის სამართლის ურთიერთკავშირის პროცესში. ეს საკითხი შეეხება გამოძიების პროცესის კონფიდენციალურობას. საქართველოს პრაქტიკაში ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა ადგილი ჰქონდა მედიის მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას გამოძიების დამთავრებამდე, რაც კანონმდებლობით პირდაპირ არის აკრძალული და ითვლება დანაშაულად. ეს ყველაფერი ხელს უშლიდა არა მარტო გამოძიების პროცესის წარმატებით და სრულად ჩატარებას, არამედ ხშირად იწვევდა ადამიანების უფლებების დარღვევასაც, მედიის ქმედებები ასეთ შემთხვევებში არც საგამოძიებო ორგანოებისთვის იყო სასარგებლო და არც მოპასუხე მხარისათვის, ეს კი არც სახელმწიფოს და არც საზოგადოების ინტერესებში არ შედიოდა.

სამწუხაროა, რომ მედია ორიენტირებულია არა იმაზე, თუ როგორი ეფექტური და საზრიანი სიუჟეტი შესთავაზოს საზოგადოებას, არამედ იმაზე, რომ რაც შეიძლება სენსაციური მასალა წარმოაჩინოს იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს აუიოტაჟი საზოგადოებაში. ამას კი ხშირად კონკრეტული ადამიანების უფლებების დარღვევა მოსდევს შედეგად. აქედან გამომდინარე, თუ მედიის ფუნქციები უფრო დაიხვეწება და მიუახლოვდება იდეალურს, დაიხვეწება ურთიერთობა სამართალსა და მედიას შორის ეს მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს, როგორც მედიის პოპულარიზაციას, ასევე დაეხმარება სახელმწიფოს სისხლის სამართლის სფეროში დასახული პროფილაქტიკური მიზნების ადვილად მიღწევაში და ზოგადად სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებაში<sup>90</sup>.

უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა შესაძლებელია სურათების არასათანადო გამოყენებამაც გამოიწვიოს. იშვიათად თუ წავანყდებით პრესაში

<sup>90</sup> დაუთაშვილი პ. კონცელიძე ა. მედია და სისხლის სამართალი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები 2012, N17. გვ. 73

სიუჟეტის ვიზუალური გაშუქების ისეთ შემთხვევას, როდესაც იგი მხოლოდ ერთ სურათს ეფუძნება. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია “the AITANA CASE”: 2009 წლის 26 ნოემბერს ტენერიფის შტატში, აირონაში გარდაიცვალა სამი წლის გოგონა აითანა. მისი გარდაცვალების მიზეზად ერთობლივი ვაგინალური და ანალური ტრავმები დასახელდა, რის გამოც ათენას დედის მეგობარი მამაკაცი დიეგო პასტრანა დააპატიმრეს, რომელმაც დაპატიმრებისას განაცხადა, რომ ბავშვმა დაზიანებები რამდენიმე დღის წინ მიიღო, როდესაც თამაშისას მინაზე დაეცა. მედიის ინტერესი დიეგოს მიმართ მაშინვე გამოვლინდა.<sup>91</sup> დიეგო პასტრანა მხოლოდ ერთხელ გადაიღეს, მაგრამ დამუშავების შედეგად უამრავი ფოტო შეიქმნა. თითოეული გამოსახულება ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა დიეგო პასტრანას მიერ დანაშაულის ჩადენაზე. დაკავების პერიოდში გაზეთებმა 24 შემთხვევა განიხილეს მის მიმართ. დიეგო გადაღებული იყო ხელობორკილებით, ხოლო მის გვერდით მდგარი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირების სახეები იყო დაფარული. დეტალურად და სხვადასხვა ფოტოზე იყო დაფიქსირებული სხეულის ის ნაწილები, რომელიც ადამიანის ემოციებს გამოხატავს, ეს იქნებოდა თვალები, გამოხედვა, მიმიკა, ხელობორკილებიანი ხელები და ა.შ.<sup>92</sup> ოთხი დღის შემდეგ, აუტოფსიით დადგინდა, რომ სიკვდილის მიზეზი, რომელიც პირვანდელი შემონმებისას დასახელდა არასწორი იყო. დიეგო დეპრესიაში ჩავარდა, რის გამოც საავადმყოფოში მოათავსეს, მან დატოვა კანარის კუნძულები, რადგან მედიის ზეგავლენის გამო იგი ყველასთვის ცნობილი გახდა როგორც „დამნაშავე“.<sup>93</sup>

როდესაც ვმსჯელობთ მედიაზე აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ მისი საქმიანობის შინაარსი, კერძოდ ის ფაქტი რომ სწორედ მედიაა ვალდებული ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას, ეს უშუალოდ მის მოვალეობაში შედის, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის შემთხვევები, როდესაც ხალხის მხრიდან არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი და მედიისგან ინფორმაციის მიღების მოთხოვნაც უფრო მაღალია რა შეიძლება დარჩეს ჟურნალისტს გარდა იმისა რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდოს ხალხს, თუმცა არ უნდა დაგვაზინყდეს რომ მეორე მხარეს დგას ადამიანი თავისი უფლებებით უდანაშაულოდ თვლიდნენ მას იქამდე, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. ამიტომ ჩნდება კითხვა მედიის მოქმედება, როდესაც ის აშუქებს პირის მიმართ მიმდინარე დაუსრულებელ სასამართლოს პროცესს დიდი აქტივობით, რადგან ხალხის მხრიდან არსებობს ამისი მაღალი საჯარო ინტერესი და ის ამ დროს ბრალდებულს ფაქტობრივად აქცევს

<sup>91</sup> In brief; Media and freedom of expression.

<sup>92</sup> REVISTA LATINA DE COMUNICACION SOCIAL SOCIAL n067 – PAGES 356-387 Presumption of innocence and journalistic ethic: the Aitana casE.

<sup>93</sup> იქვე.

დამნაშავედ რადგან აპელირებს და ასაჯაროებს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ჯერ მხოლოდ გამოკვლევის სტადიაზეა და დაცვის მხარემ შესაძლოა საერთოდ გააბათილოს, ხაზს უსვამს და ასაჯაროებს ბრალდების მხარის არგუმენტებს, დაცვის მხარის არგუმენტების გაუთვალისწინებლად, საზოგადოებაში ცალსახად აჩენს იმის განცდას რომ ბრალდებული აუცილებლად დამნაშავეა. აღნიშნული საკითხის სიმძაფრე იკვეთება განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქმეს განიხილავს ჩვეულებრივი მოქალაქეებისგან შემდგარი ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო, რომლებზეც გავლენის მოხდენა ძალიან მარტივია. ასე რომ, რაც არ უნდა მაღალი საჯარო ინტერესი არსებობდეს საზოგადოების მხრიდან რომ მიიღონ მეტი ინფორმაცია კონკრეტულ გახმაურებულ დანაშაულის საქმესთან დაკავშირებით, მედიას ყოველთვის უნდა ახსოვდეს რომ მეორე მხარეს დგას ადამიანი თავისი კონსტიტუციური უფლებებითა და თავისუფლებებით და მისმა ნაბიჯმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აქციოს პირი დამნაშავედ იქამდე სანამ სასამართლო არ გამოიტანს მის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს.

ზემოთ განხილული მაგალითი ცხადყოფს თუ რამდენად დამანგრეველი შეიძლება აღმოჩნდეს პრესის მიერ პირის დამნაშავეობასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები, მით უფრო მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არის დანყებული სასამართლო განხილვები. საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა ძალიან ფრთხილად უნდა იქნას შერჩეული. თითოეული სიტყვა, ფოტოსურათი თუ ამონარიდი ვიდეომასალიდან უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის მიწოდებას მოქალაქეებისთვის დაცული უნდა იქნას გამოხატვის თავისუფლების უფლება, თუმცა მეორეს მხრივ აუცილებელია დაცულ იქნას ბრალდებულის უფლება, არ მიიჩნიონ დამნაშავედ სანამ სასამართლო არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ჟურნალისტური გამოძიებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნებისა და თითოეული მოწმის ჩვენების გამოკვლევის ფონზე მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ბრალდებულის დამნაშავეობა ან თუნდაც ისეთი პირის დამნაშავეობა დაადასტუროს, რომლის მიმართ სამართალდამცავ ორგანოებსაც კი არ აქვთ მიღებული შუალედური გადაწყვეტილება პირდაპირ ახდენს გავლენას საზოგადოებრივ აზრზე, საზოგადოების, რომლის წევრების საქმის განმხილველი მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულებიც არიან.

### 3.6 მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი

უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევის შემთხვევაში პირს, რომელიც გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში და აგრეთვე მას ვის მიმართაც სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, მას კი საფუძვლად მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია დაედო. რა თქმა უნდა

აუცილებელია შეფასდეს კონკრეტული ფაქტი რამდენად იყო გამამტყუნებელი განაჩენი დამოკიდებული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე და მოახდინა თუ არა ზეგავლენა ამ ინფორმაციამ მოსამართლესა ან ნაფიც მსაჯულებზე.<sup>94</sup> საზოგადოების ძირითადი ნაწილი, მედია საშუალებებს ხშირად ადევნებს თვალს, ხშირ შემთხვევაში კი დასკვნებს, სწორედ მედია საშუალებებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებენ. უმეტესობა კარგავს დანაშაულის თუ სხვა ანტისაზოგადოებრივი ქცევის შეფასების უნარს.

„როდესაც მედიის ყურადღება მასიური ხდება, შესაძლებელია მოხდეს პირის ბრალეულობის შესახებ საერთო აზრზე გავლენის მოხდენა, მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა ჩათვლით, რომლებმაც პირის ბრალეულობის საკითხი უნდა გადაწყვიტონ. ამგვარად პრესის არაკეთილმოსურნე კამპანიამ შესაძლოა სასამართლოს მიუკერძოებლობასა და უდანაშაულობის პრეზუმფციას შეუქმნას საფრთხე“<sup>95</sup>. მაგალითად, თუ ინდივიდი გადაწყვეტს, რომ მას მორალური ზიანი მიაღვა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით ვინაიდან და რადგანაც ადამიანის უფლება და თავისუფლება წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობას მას შეუძლია სამოქალაქო წესით იდავოს ზიანის ანაზღაურებაზე. ამ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ „მორალური ზიანი, ხშირად უფრო ძნელად ასატანია დაზარალებულისთვის ვიდრე ქონებრივი ზიანი. მან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის მთელი ცხოვრების დამახინჯება, რომელსაც, ამავე დროს თან სდევს ძლიერი ნერვული მოშლილობა, რომელიც იწვევს ძლიერ ნერვულ მოშლილობასა და სერიოზულ დაავადებებს, ზოგ შემთხვევაში სიკვდილსაც კი“<sup>96</sup>. კარგი მაგალითია იმისა, თუ რა მორალური ზიანი შეიძლება მიაღვეს პირს მედია საშუალებებით გავრცელებული გადაუმონმებელი ინფორმაციებით<sup>97</sup>, სადაც მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს არა მხოლოდ სახელმწიფოს არამედ კერძო პირებსაც, შესაბამისად პირს, რომელსაც ზიანი მიაღვა მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციებით შეუძლია სამოქალაქო წესით იდავოს და მედიას პასუხი მოსთხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება პირს იმ შემთხვევაში დაეკისრება თუ სახეზე იქნება ზიანი, რომელიც მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით და მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი ამასთან ზიანის მიყენებელს მიუძღვის ბრალი. მხოლოდ ამ პირობათა ერთობლიობაა საკმარისი ზიანის ანაზღაურების

<sup>94</sup> იმ შემთხვევაში თუ საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

<sup>95</sup> მელაძე გ. სამართლის მიმოხილვის ბლოგი. მე-6 მუხლის კომენტარები. 2012. იხ. <https://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/06/>

<sup>96</sup> პაჭკორია ც. მორალური ზიანის ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები. იხ. <https://elawjournal.wordpress.com/2013/01/29/>

<sup>97</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე - #ბს-819-785-(კ-06)

ვალდებულების დაკისრებისთვის.<sup>98</sup> ხოლო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საშუალებას მხოლოდ მაშინ იძლევა თუკი პირმა სხვისი უფლებები ბრალეულად დაარღვია.<sup>99</sup>

როგორც ნაშრომში უკვე აღვნიშნეთ, მედიის თავისუფლება არ არის აბსოლუტური, თუმცა მისი შეზღუდვა თითქმის დაუშვებელია, აგრეთვე არ არსებობს სამართლებრივი რეგულირების ნორმები, როლებიც კონკრეტულად განსაზღვრავენ მედიის პასუხისმგებლობის საკითხს. „გაუმართლებელია სისხლის სამართლის ძებნასთან, გამოძიებასთან ან სასამართლო პროცესთან დაკავშირებული რეპორტაჟების ტენდენციური სახის კომენტარებისა თუ შეფასების კეთება“.<sup>100</sup> ნორმა თავის მხრივ ბუნდოვანია, რადგან მტკიცების ტვირთი საკმაოდ მძიმეა, პირი, რომლის უდანაშაულობის პრეზუმციის უფლებაც დაირღვა, რითიც შესაძლოა მას ღირსებაც კი შეეღებოს - „ვალდებულია“ ამტკიცოს, რომ მედიასაშუალებები ტენდენციურად ჩაერიონ მის უფლებაში და მორალური ზიანი მიაყენეს. ამასთან მსჯავრდებულმა აუცილებლად უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად სწორედ მედიის მხრიდან გაკეთებული განცხადებები თუ რეპორტაჟები დაედო საფუძვლად, რამაც სასამართლოსა თუ ნათევს მსაჯულებზე მოახდინეს გავლენა.

#### **თავი IV. უდანაშაულობის პრეზუმციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეფორმა და საერთაშორისო მიდგომები**

<sup>98</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე - #ბს-819-785-(კ-06)

<sup>99</sup> მშვენიერაძე გ. კინურაშვილი თ. მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები. გვ. 119. იხ. [https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/MDF-BOOK-Final\\_WEB.pdf](https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/MDF-BOOK-Final_WEB.pdf)

<sup>100</sup> უურნალისტთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 6(2).



#### 4.1 რეფორმა საკანონმდებლო მიმართულებით

საქართველოს საკანონმდებლო სისტემა მედიასამართლის მიმართულებით მოძველებულია და, შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ სათანადოდ ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც მედიის თავისუფლების კუთხით იკვეთება. მაგრამ, ის, რომ გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციით გარანტირებული უფლებას წარმოადგენს. მაინც დაუშვებელია აბსოლუტური ხასიათი მიიღოს და პირი, რომელიც სხვა პირის უფლებებს ლახავს არ აგოს პასუხი, თუნდაც ეს იყოს მორალური ზიანის ანაზღაურება.

მედია ეთიკის კუთხით საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა მიდგომები არსებობს, რომელიც ძირითადად შექმნილია კოდექსებზე და სფეროს სპეციფიურობაზეა მორგებული. მნიშვნელოვანია აღნიშნული გავნიხილოთ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები, თუ როგორაა შესაძლებელი მედიის სუბიექტების ურთიერთობების დარეგულირება ისე, რომ გამოხატვის უფლება არ შეიზღუდოს და ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციის და ღირსების უფლება არ შეილახოს. ამ მხრივ, ნებისმიერი ქვეყნის ადვოკატურის ეთიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებათა დაცვას. ადვოკატის მიერ გაცხადებული ინფორმაცია არ უნდა შეურაცხყოფდეს ადამიანს და დაუშვებელია ყალბი ან არასწორი ინფორმაციის მიწოდება.

მნიშვნელოვანია იმ აზრის დათვქსირება, რომ ქართულმა მედიამ სასურველია იზრუნოს რეფორმაზე და, შესაბამისად, ხელი შეუწყოს ქვეყნის რეფორმირებას.

ამ მხრივ, საჭიროა, მედიის პოპულარიზაციის მიზნით ანგარიშვალდებულების სისტემების შექმნა და საქართველოში საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარება, რაც, თავის მხრივ, ადვოკატურ და პოლიტიკურ წრეებიდან უნდა დაიწყოს და საზოგადოებაში გავრცელდეს. როდესაც საზოგადოებას არა აქვს მოტივაცია, ორგანიზაცია და ის თავს უძღურად გრძნობს, მაშინ ვერ მოსთხოვ მას ინიციატივის გამოჩენას. მაგრამ, სხვა მხრივ, ყველა (მედია და საზოგადოება) თავისუფლებას და პასუხისმგებლობას ადვილად აღიქვამს. პრობლემას წარმოადგენს თავისუფლების და პასუხისმგებლობის ურთიერთდამოკიდებულების გააზრება.

ასევე პრობლემურია და ყურადღებას საჭიროებს ინსტანციებს შორის გადანაცვებების გამოტანის საკითხი. რამდენად ირღვევა ამ შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფცია, როდესაც ის მოქმედებას წყვეტს პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებისთანავე. საკითხს თუ სიღრმისეულად გავიზრებთ პირს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგაც აქვს შესაძლებლობა რომ უდანაშაულოდ იქნეს ცნობილი აპელაციასა და კასაციაში, ამიტომ ისმევა ლოგიკური კითხვა ხომ არ უნდა მიყვებოდეს მსჯავრდებულს



უდანაშაულობის პრეზუმფიცია კასაციამდე, სანამ საბოლოოდ არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა?

სადაოა ბრალდებულის გისოსებში ყოფნის დროს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ნათეცი მსაჯულები განიხილავენ საქმეს, რამდენად მიზანშეწონილია სასამართლო პროცესზე ბრალდებულის გისოსებიან ადგილას მოთავსება და რა გავლენას ახდენს ნათეცი მსაჯულებზე გიგოსები, ხომ არ არღვევს ის უდანაშაულობის პრეზუმფიციას. ცალსახაა რომ როდესაც პირს ვხედავთ გისოსებს მიღმა, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა ქვეცნობიერად ვთვლით დამნაშავედ, სწორედ ამიტომ ეს მიდგომა, ვფიქრობ შესაცვლელია და ბრალდებული პროცესის მიმდინარეობისას უნდა იჯდეს ისეთ ადგილას და ისეთი ფორმით რომ ის არანაირად არ აღიქმებოდეს დამნაშავედ.

#### 4.2 საერთაშორისო მიდგომები

„იმ ქვეყნებში, სადაც სიტყვის თავისუფლების ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს ან სადაც ამგვარი ტრადიცია დღეს იქმნება, პრესის თვითრეგულირების სხვადასხვა მექანიზმები შემუშავდა. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია პრესის ომბუდსმენი, რასაც ზოგიერთ ქვეყანაში პრესის საბჭოები ცვლის. მათი მიზანი ეთიკური და სანდო ჟურნალისტიკის დამკვიდრებაა, რასაც ისინი ერთიანი კრიტერიუმების გამომუშავებითა და ამ კრიტერიუმების დაცვაზე ზედამხედველობის დანერგვით ახერხებენ. ხოლო თუ ჟურნალისტები ვერ მოახერხებენ ეთიკური და სანდო მასმედიის ჩამოყალიბებას, მაშინ ხელისუფლებას ხელ-ფეხი ეხსნება, თავად „ალაგმოს პრესის თავგასულობა“ და იგი შეძლებს კიდევ ამის გაკეთებას“<sup>101</sup>.

ევროპის ქვეყნებში მოქმედი კოდექსების ანოტაციებში განმტკიცებულია სასამართლო პროცესების და კრიმინალური ამბების გაშუქების სტანდარტები. ჩეხეთის რესპუბლიკის კოდექსის თანახმად ჟურნალისტი ვალდებულია მკაცრად დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფიციის პრინციპი და თანხმობის გარეშე თავი შეიკავოს დამნაშავის ნათესავების დასახელებისგან. „განზრახ თუ უნებლიეთ, ჟურნალისტმა არ უნდა შექმნას ეჭვმიტანილის ისეთი იმიჯი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მას დამნაშავედ წარმოაჩენს.“<sup>102</sup>

სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს არა მხოლოდ დაცვის უფლების ხელმისაწვდომობას, არამედ სასამართლოს თავისუფლებას პრესის ზენოლისგანაც. ბრიტანული კანონმდებლობა ზღუდავს სასამართლო პროცესების

<sup>101</sup> სუბარი ს. ეთიკური ჟურნალისტიკა., იხ. <http://www.nplg.gov.ge/>

<sup>102</sup> ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები. რედ. კინურაშვილი თ. თავისუფალი ინსტიტუტი 2003. იხ.: <http://www.nplg.gov.ge/>

გაშუქებას, ამასთანავე ურნალისტიკა არ უნდა გააშუქოს ისეთი მოვლენა რაც გავლენას მოახდენს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.<sup>103</sup> საკანონმდებლო ქვეყნები დიდ ყურადღებას უთმობენ ადამიანის უფლებების დაცვას დაუშვებელია მედიაში ისეთი საკითხის გაშუქება, რომელიც ეჭვმიტანილის ვინაობაზე მიუთითებს, მანამ, სანამ არ იქნება სასამართლო ვერდიქტი გამოტანილი.<sup>104</sup> მუსლიმური ქვეყნებში მედია ეთიკა მჭიდროდაა რელიგიასთან დაკავშირებული, ამგვარ ქვეყნებში მედიის თავისუფლებისადმი ძირითადად მტრული დამოკიდებულებაა. განვითარებული ქვეყნების კოდექსების უმეტესობა რეკომენდაციას იძლევა ფრთხილად მოეკიდონ მედიასაშუალებები ისეთი თემების გაშუქებას, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისკენ უბიძგებს ადამიანს.

მედიის სამართალთან ურთიერთობა ძირითადად ეთიკის კოდექსებითა და მედიის საბჭოების მეშვეობით რეგულირდება. კულტურული განსხვავებებისა და სამართლებრივი ისტორიის მიხედვით განსხვავებული მიდგომები არსებობს. გამომდინარე იქედან, რომ მედიის თავისუფლება მნიშვნელოვანი უფლებაა და დემოკრატიულ სახელმწიფოში მისი არაპროპორციული შეზღუდვა დაუშვებელია, საკანონმდებლო რეგულაციები პრინციპების დონეზეა მონესრულებული. ერთის მხრივ კანონმდებლობა დამოუკიდებლობას ანიჭებს მედია საშუალებებს, ხოლო მეორეს მხრივ აღიარებს ადამიანის უფლებებს და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას აკისრებს მასმედიის საშუალებებს, კონტროლს კი საზოგადოებას მიანდობს.<sup>105</sup> რეგულაციები განკუთვნილია არა მხოლოდ ურნალისტიკისთვის არამედ მედიის მესაკუთრეებისთვისაც, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად შვედეთში ეთიკის კოდექსს ხელს აწერენ როგორც ურნალისტიკები აგრეთვე მედია საშუალებების მესაკუთრეებიც.<sup>106</sup>

ავსტრიის, გერმანიის, ნორვეგიის, აშშ-ის, საფრანგეთის კონსტიტუციებსა და კანონმდებლობაში დაცულია აზრის გამოხატვის თავისუფლება, თუმცა მეორეს მხრივ დაცულია ადამიანის უფლებებიც და დაუშვებელია მათი შელახვა ურნალისტიკის მხრიდან.

აშშ-ში უმნიშვნელოვანესია მედია საშუალებებს თავისუფლად მიუწვდებოდეთ ხელი სახელმწიფო ინფორმაციაზე, თუმცა მიუხედავად ამისა მთავრობას სრული უფლება აქვს კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე უარი თქვას ისეთ

<sup>103</sup> სუბარი ს. ეთიკური ურნალისტიკა. იხ. <http://www.nplg.gov.ge/>

<sup>104</sup> იქვე.

<sup>105</sup> საქართველოს პარლამენტი, საინფორმაციო ფურცელი - მედიასაშუალებათა ზოგადი პრინციპებისა და ეთიკური ნორმების საკანონმდებლო რეგულირება. იხ. <http://www.parliament.ge/>

<sup>106</sup> ეთიკური ურნალისტიკა. იხ. <http://www.nplg.gov.ge/>

ინფორმაციის გასაჯაროებაზე, რომელიც დაარღვევს სასამართლო განხილვის მსვლელობას და ხელს შეუშლის ბრალის წაყენების პროცესს.<sup>107</sup> აშშ-ში

გერმანიაში პრესის საკითხებს არეგულირებს სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის კოდექსები. გერმანიის კონსტიტუციის მე-5(2) მუხლი იძლევა საშუალებას შეიზღუდოს ინფორმაციაზე უფლება იმ შემთხვევაში თუ გავრცელებულმა ინფორმაციამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის ინტერესებს და დაირღვეს მისი უფლებები.<sup>108</sup>

დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება მაღალ დონეზეა დაცული, არსებობს სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფს უფლებათაშორისი ბალანსის დაცვას. „შენი უფლება მთავრდება იქ სადაც იწყება სხვისი“.

---

<sup>107</sup> საქართველოს პარლამენტი. საინფორმაციო ფურცელი - მედიასაშუალებათა ზოგადი პრინციპების და ეთიკური ნორმების საკანონმდებლო რეგულირება, გვ. 3. იხ. <http://www.parliament.ge/>

<sup>108</sup> იქვე, გვ. 4.

### 4.3 დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნა უდანაშაულობის პრეზუმფიცია და მისი დაცვის მნიშვნელობა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, მისი კავშირი მედიასთან და არსებული პრობლემები. იმის გათვალისწინებით, რომ სრულიად განსხვავებული მოსაზრებებია მედიის პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებით, საინტერესოა რამდენად შეიძლება ვრცელდებოდეს მასზე უდანაშაულობის პრეზუმფიციის დაცვის ვალდებულება. ნაშრომში შეიძლებისდაგვარად წარმოჩენილი და დასაბუთებულია რატომ შეიძლება წარმოადგენდეს უდანაშაულობის პრეზუმფიციის დარღვევა მნიშვნელოვან პრობლემას და რატომ შეიძლება ვრცელდებოდეს მედია საშუალებებზე უდანაშაულობის პრეზუმფიციის დაცვის ვალდებულება. ასევე, ფუნდამენტურადაა განხილული თვითონ უდანაშაულობის პრეზუმფიციის დაცვის უდიდესი მნიშვნელობა.

ნაშრომზე მუშაობისას, ჩვენთვის საინტერესო პრობლემურ საკითხად წარმოჩინდა:

- ინსტანციებს შორის გადანაცვტილებების გამოტანის საკითხი. რამდენად ირღვევა ამ შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფიცია, როდესაც ის მოქმედებას წყვეტს პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებისთანავე. მაგ: ზემოთ მოყვანილ გადანაცვტილებებში, №1ბ/351-12, №123აპ-18, №1/ბ-447-14, №1ბ/351-12, №1/ბ-982-15, როდესაც მსჯავრდებული პირი გამართლდა შემდეგ ინსტანციაში
- ასევე პრობლემას წარმოადგენს მედიის მიერ თავისი ქმედებებით ბრალდებულის დამნაშავედ ქცევა. შესაძლოა თუ არა ის გამართლდეს საჯარო ინტერესით და სად გადის ზღვარი უდანაშაულობის პრეზუმფიციის დაცვასა და პროფესიული საქმიანობის შესრულებას შორის.
- სადაოა ბრალდებულის გისოსებში ყოფნის დროს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ნათესი მსაჯულები განიხილავენ საქმეს, რამდენად მიზანშეწონილია სასამართლო პროცესზე ბრალდებულის გისოსებიან ადგილას მოთავსება და რა გავლენას ახდენს ნათეს მსაჯულებზე გიგოსები, ხომ არ არღვევს ის უდანაშაულობის პრეზუმფიციას.

ვფიქრობ, ჩემს მიერ წარმოჩენილი პრობლემური საკითხები მნიშვნელოვანია და საინტერესოა თუ როგორაა შესაძლებელი პრობლემის გადაჭრის გზის მოძებნა, რაზეც საუბარი იქნება რეკომენდაციების შემოშავებისას. ზოგადად კი შეიძლება ითქვას

რომ პირველ რიგში, სასურველია ამ საკითხს კანონმდებლებმა მიაქციოს ყურადღება და აღნიშნული ნორმა სხვაგვარად ჩამოაყალიბოს. განვიხილოთ თითოეული პრობლემის გადაჭრის გზა და ნაშრომზე მუშაობისას მიღებული შედეგებისა და დასკვნის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რიგი რეკომენდაციები:

როდესაც ვსაუბრობთ ინსტანციებს შორის გადაწყვეტილებების გამოტანის საკითხზე აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე თუ რამდენად მისაღები შეიძლება იყოს უდანაშაულობის პრეზუმფციის გავრცელება აპელაციისა და კასაციის ეტაპზე ნაშრომში განხილული პრობლემის აღმოსაფხვრელად. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმ საკითხზე მსჯელობა რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის უფლება უმნიშვნელოვანესია ბრალდებულისთვის და მისი აპელაციისა და კასაციის ეტაპზე გავრცელება სრულიად ლოგიკური იქნება, რადგან პრაქტიკაში ყოფილა ბევრი შემთხვევა, როდესაც დამნაშავედ წოდებული მსჯავრდებული აპელაციაში ან კასაციაში გამართლებულა, თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ მსჯავრდებულს შეუძლია ახლად გამოვლენილი გარემოების გამო მოითხოვოს განაჩენის გადასინჯვა ნებისმიერ დროს რა დროც არ უნდა იყოს გასული გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანიდან, სწორედ ამიტომ თუ უდანაშაულობის პრეზუმფციას გავავრცელებთ აპელაციასა და კასაციაზე დავდგებით იმ რეალობის წინაშე რომ მისი მოქმედება იქნება უსასრულო და შეუძლებელი იქნება მისი დასრულების დროის განსაზღვრა. ბრალდებულის უფლების ამგვარი გაფართოება კი ვერ იქნება გამართლებული და უდანაშაულობის პრეზუმფციამ მოქმედება უნდა შეწყვიტოს პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.

რაც შეეხება ბრალდებულის გისოსებში ყოფნის საკითხს სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ რომ როდესაც საქმე გვაქვს გახმაურებულ საქმესთან, რომლის მიმართაც არსებობს მაღალი ინტერესი საზოგადოების მხრიდან და დიდი ინტენსივობით ხდება სასამართლო პროცესების მედიის მხრიდან გაშუქება და საზოგადოება ან ნაფიცო მსაჯულები ხედავენ პირს რომელსაც ბრალად ედება საკმაოდ მძიმე ბრალდება, ისმენენ ჯერ კიდევ გამოუკვლევ მტკიცებულებებს და ამასთან ერთად ხედავენ პირს, რომელიც ზის გისოსებს მიღმა, ცალსახაა რომ მათი აზროვნება იხრება პირის ბრალეულობისკენ ყველანაირი საფუძვლის გათვალისწინების გარეშე მხოლოდ იმიტომ რომ ბრალდებულს ხედავენ გისოსებს მიღმა. ამიტომ ვთვლი რომ აღნიშნული ფაქტი ცალსახად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და საჭიროა მოხდეს ძირეული ცვლილება, კერძოდ, რაც არ უნდა მძიმე დანაშაულისთვის იყოს პირი ბრალდებული, სასამართლო პროცესს ის არ უნდა ესწრებოდეს გისოსების მიღმა და არ უნდა მიიჩნეოდეს დამნაშავედ, მანამ სანამ სასამართლო არ გამოიტანს მის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს. აღნიშნულის ალტერნატივად შეიძლება დარჩეს ჩვეულებრივი სკამი რომელიც უძრავად იქნება მიმაგრებული იატაკზე და ექნება

შეუმჩნევლად დამაგრებული ღვედი, რომელიც გადაეჭირება განსაკუთრებული საფრთხის მატარებელ ბრალდებულს. ასწვევს ის დამატებით დაცული იქნება ფეხისა და ხელის ბორკილით რაც არ იქნება ხილვადი დამსწრე საზოგადოებისა და ნაფიცი მსაჯულებებისთვის.

რაც შეეხება მედიის საკითხს, მედიის ვალდებულებაა შესაბამისი სამსახური გაუწიოს საზოგადოებას. ვინაიდან, კანონმდებლობა მხოლოდ კონსტიტუციასა და კოდექსებს არ მოიცავს ასევე, შესაძლოა, რომ შემუშავებულ იქნას მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს მედიის თავისუფლების დაცვასა და ადამიანის უფლებებში მის უკონტროლო ჩარევას. მედიამ შესაძლოა სულაც არ დაარღვიოს კანონი, მაგრამ მაინც სერიოზული ზიანი მიაყენოს ვინმეს, რადგანაც დაუშვებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, შესაძლებელია, რომ იგი ეთიკის ნორმებით დარეგულირდეს, რათა უფლებათა დისბალანსი არ მოხდეს და მხოლოდ იმისთვის, რომ გამოხატვის თავისუფლება იყოს დაცული ბრალდებულის, როგორც ინდივიდის უფლებები, უგულებელყოს სახელმწიფომ და მედია სისტემებმა საზოგადოებრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად.

სასურველია თუ შურნალისტთა ეთიკის კოდექსი სავალდებულო იქნება ყველა მოქმედი შურნალისტისთვის და დამოკიდებული არ იქნება მათ ნებაზე შეუერთდნენ თუნ არა ქარტიის მიერ შემუშავებულ ეთიკის კოდექსს. დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ დაუშვებელია გამოხატვის თავისუფლებაში უხეში ჩარევა, მაინც გარკვეულწილად უნდა დარეგულირდეს დანაშაულთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება. საზოგადოების მაღალი ინტერესი არ უნდა იყოს ინდივიდის უფლებების შეზღუდვის გამამართლებელი გარემოება. ხშირ შემთხვევაში სასამართლო პროცესების განხილვისას შურნალისტები არ ასახელებენ განსასჯელის სახელს და გვარს, თუმცა ინტერვიუს იღებენ მისი ახლო ნათესავების ან მეზობლებისგან ანუ თუ იდენტიფიცირებადია გარეშე ფაქტორებზე დაყრდნობით რა მნიშვნელობა აქვს შურნალისტი დაასახელებს თუ არ ამის სახელს და გვარს თუ უდანაშაულობის პრეზუმფცია არ იქნება დაცული? თუ პირის სახელი და გვარი არ დასახელდება, მაგრამ სხვა გარეშე ფაქტორებითაც შესაძლებელი იქნება „დამნაშავის“ ამოცნობა მაშინ როცა დანაშაულის ჩადენაზე მიუთითებს ყველა განცხადება თუ რეპორტაჟი.

დღეს, როდესაც საზოგადოების მხრიდან არსებობს მაღალი ინტერესი დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ, ხოლო მედია იმ სფეროზე მუშაობს რომელიც საზოგადოებას აინტერესებს, სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშაოს ისეთი ნორმები, რომ დაცული იყოს არა მხოლოდ გამოხატვის თავისუფლება არამედ ყოველი ინდივიდის უფლებაც. მკაცრად უნდა გაივლოს ზღვარი პირის უფლებების დაცვასა და მედიის მიერ პროფესიული ვალდებულების შესრულებას შორის, კონკრეტულად კი უნდა აიკრძალოს პირის იდენტიფიცირებადი ინფორმაციის გაშუქება ეს იქნება ახლობლებისთვის სახის დაუფარავად ინტერვიუს ჩამორთმევა თუ სხვა იდენტიფიცირებადი მონაცემების გაშუქება.

კანონი და ეთიკა: დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი სფერო ერთმანეთისგან სულაც არ არის გამიჯნული. უცხო ქვეყნის ზოგიერთ კანონმდებლობებში იაშვიათად არსებობს მედიის შემზღუდავი ნორმები, მაგრამ, ამ კანონმდებლობებში გათვალისწინებულია ჟურნალისტთა ვალდებულებები, რომლებიც დანაშაულთა გაშუქებისას უნდა დაიცვან, ზოგიერთი ქმედება კი საერთოდ აკრძალულია.

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში. არსებობს კანონები, რომლებიც გარკვეულწილად არეგულირებენ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, მაგრამ მათში „მედიის“ მოვალეობებზე საუბარიც კი არ არის. ამიტომ, სასურველია თუ თავად მედიის მიმართ იქნება შემუშავებული დანაშაულის გაშუქების სტანდარტები რაც თითოეული მედიის წარმომადგენლისთვის სავალდებულო იქნება შესასრულებლად.

კონკრეტულად იყოს კანონში მითითება რომ სასამართლო პროცესის გაშუქება ნებისმიერ შემთხვევაში, მის მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი თუ არა, შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მკაცრი წესების დაცვით კერძოდ: უნდა შეიძლოს მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის გაშუქება როგორცაა მაგალითად: სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ფაქტი, განხილვის რა ეტაპზეა პროცესი, რომელი მოსამართლე განიხილავს საქმეს, ვინ არის პროკურორი და ადვოკატი, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მოსამართლის, პროკურორისა და ადვოკატისგან ინტერვიუს აღება. ყველა დანარჩენი ინფორმაცია როგორცაა მტკიცებულებების გამოკვლევის დეტალები, რაც პირს აქცევს დამნაშავედ უნდა იყოს აკრძალული და დამრღვევი ჟურნალისტის მიმართ დანესებული და გამოყენებული უნდა იქნეს მკაცრი სანქციები როგორცაა: პროფესიული უფლებამოსილების ჩამორთმევა, შეზღუდვა და ა.შ.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, პირს, რომელსაც მიცემა შესაძლებლობა მედია საშუალებებისგან მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება, თუ მათ მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ უდანაშაულობის პრეზუმციის უფლების დარღვევა გამოიწვია, მაშინ მტკიცების ტვირთი არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად შეუძლია პირს დაამტკიცოს, რომ მის მიმართ გამოტანილ განაჩენს საფუძვლად სწორედ მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაედო. ასეთი მაღალი სტანდარტის დანესება ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის მის შესრულებას, რაც გაუმართლებელია. საკმარისი უნდა იყოს პირის მიერ მედია საშუალებების მხრიდან მხოლოდ აღნიშნული ნორმებისა და ვალდებულებების დარღვევის ფაქტის დამტკიცება და მათი გავლენა შედეგზე უნდა ივარაუდებოდეს, რადგან პირი მას ფიზიკურად ვერასდროს დაამტკიცებს.

საბოლოოდ, ნაშრომში განხილული პრობლემებისა და გადაჭრის გზებზე მსჯელობის შედეგად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას არ ენიჭება შესაბამისი მნიშვნელობა, ხშირად ხდება მისი დარღვევა და ძირეული ცვლილებებია გასატარებელი როგორც მედიასამართლის კანონმდებლობის კუთხით, ასევე უშუალოდ მისი დაცვის მიმართ დაწესებული სტანდარტებია შესაცვლელი და გასამკაცრებელი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის სრულყოფილად დაცვა.

## ბიბლიოგრაფია

### მონოგრაფიები

- ადამიანის უფლებები და პოლიცია., პრაქტიკული კურსი., სტრასბურგი 1998.
- ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, ავტ. კოლ. რედ. კოპალეიშვილი მ. თბილისი 2013.
- ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა, ავტ. კოლ. რედ. ბერძენიშვილი ლ., თბილისი, 2004.
- ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ავტ. კოლ. რედ. დეკანოიძე მ, თბილისი, 2011.
- ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ვარშავა 2014.
- ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007,
- კლოდ-ჟან ბერტრანი., მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემა, კინწურაშვილი თ. რედაქტორობით, თავისუფალი ინსტიტუტი, თბილისი, 2004.
- კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებებთან საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. თბილისი 2004.
- მელაძე გ., სამართლის მიმოხილვის ბლოგი., მე-6 მუხლის კომენტარები., 2012.
- მშვენიერაძე გ., მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები, 10 საქმე 2013 წლის პრაქტიკიდან, თბილისი, 2013.
- ნარინდოშვილი მ., ადამიანის უფლებები., თავისუფალი ინსტიტუტი, თბილისი, 2005.
- რეხვიაშვილი თ., კვლევითი დეპარტამენტის ანალიტიკური მიმოხილვა. თემაზე: ნათეს მსაჯულთა სასამართლო, თბილისი, 2010.
- რუხაძე ზ. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999.



- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ავტ. კოლ. რედ. ტურავა პ., თბილისი, 2013.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. ავტ. კოლ. რედ. გიორგაძე გ., თბილისი, 2015.
- სახელმძღვანელო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, ავტ. კოლ. თბილისი, 2014.
- ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009.
- ჩაფიძე ე., სამართლებრივი საკითხების გაშუქება მედიაში, სამეცნიერო კვლევა, თბილისი, 2011.
- ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. თბილისი 2013.
- ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., მედიასამართალი, თბილისი, 2014.
- საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ. თბილისი, 2013.
- შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011.
- ჯავახიშვილი ჯ., მედია და ნარკომანიის პრობლემების გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპები, თბილისი, 2009.
- ჯორბენაძე ს., გამობატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის წინაპირობა, ზურაბ ახვლედიანი 80, საიუბილეო კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

## ნორმატიული აქტები

- საქართველოს კონსტიტუცია, 2018
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997
- საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ, 2008
- საქართველოს კანონი მაუწყებლის შესახებ, 2005
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1999
- ურნალისტთა ეთიკის კოდექსი 2015
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948
- ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია, 2000
- ამერიკული კონვენცია, 1969

## უცხოენოვანი ლიტერატურა

- Stefan Trechsel, Human Rights in Criminal Proceedings, OUP, 2006
- REVISTA LATINA DE COMUNICACION SOCIAL SOCIAL n067 – PAGES 356-387  
Presumption of innocence and journalistic ethic: the Aitana casE
- Inter-American Court of Human Rights, Juridical Condition and Human Rights of the Child, Advisory Opinion OC-17/02 of August 28, Series A No., 2002,
- Child Welfare Information Gateway, Determining the best interest of child, state statutes, 2016
- Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law - Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, New York 2013
- Covering Health Issues 6<sup>th</sup> edition, The alliance of health reform, 2011
- The media guide to drugs, Key facts and figures for journalists, DrugScope, 2011

## სასამართლო გადაწყვეტილებანი

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე - #ბს-819-785-(კ-06)
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11/07/2011 წლის გადაწყვეტილება N 3/2/416, II-62
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 19/12/2008 წლის გადაწყვეტილება N454, II2

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

- *Alenet de ribemont v. France*. ECtHR. 10/02/1995
- *Telfner v. Austria*. ECtHR. 20/03/2001
- *Viorel burzo v Romania*, ECtHR, 30/06/2009,
- *RMD v. Switzerland* ECtHR, 26/09/1997
- *Castravet v. Moldova* ECtHR 13/03/2007
- *Ramishvili and Kokhreidze v. Georgia*. ECtHR 27/01/2009
- *Minel v. Shwitzerland*, ECtHR, **Decision of** 25/03/1983.
- *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain* ECtHR 6/12/1988
- *Baars v. the Netherland* ECtHR 28/10/2003
- *Hornsby v. Greece*, ECtHR, 19/03/1997
- *Howden v. The United Kingdom*. ECtHR. 10/10/1994

## ვებგვერდები

- <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-> ნანახია 2019 წლის 15 ივლისს
  - <https://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/06/> ნანახია 2019 წლის 15 ივლისს
- <https://on.ge/story/> ნანახია 2019 წლის 15 ივლისს
- <http://www.media.ge/ge/portal/articles/6635/> ნანახია 2019 წლის 15 ივლისს
  - <https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/49663-thvithregulireba> ნანახია 2019 წლის 15 ივლისს
  - <http://www.media.ge/ge/portal/articles/7200> ნანახია 2019 წლის 15 ივლისს
  - <https://www.ambebi.ge/article/225297-shss-m-tenderi-romelshic-petre-devrishazis-kompania-monacileobda-chashala/> ნანახია 2019 წლის 15 ივლისს
  - <https://www.ambebi.ge/article/225308-mkvleloba-varketilshi-mamakacma-sakutari-saxlidan-umisamarto-gasrolit-mezobeli-mokla/> ნანახია 2019 წლის 15 ივლისს
  - <https://elawjournal.wordpress.com/2013/01/29/> ნანახია 2019 წლის 15 ივლისს
  - [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32377/mediaprincipebi\\_da\\_eTika](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32377/mediaprincipebi_da_eTika) ნანახია 2019 წლის 15 ივლისს